

მიკრო- და მხირე ბიზნესის სახელმძღვანელო:

ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და
ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება



მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და ექსპორტის განვითარების ასოციაციის (EDA) ჩართულობით.



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



EUROPEAN FUND FOR SOUTHEAST EUROPE
DEVELOPMENT FACILITY



მიკრო- და მცირე ბიზნესის
სახელმძღვანელო:

ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და
ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება



სურჩევი

შესავალი	6
ბიზნესის დაფინანსების წყაროები	8
საკუთარი სახსრები	9
სესხი (კრედიტი)	10
სასაქონლო კრედიტი	11
გრანტი	12
ლიზინგი	12
ფასიანი ქაღალდები	12
საფინანსო ინსტიტუტების მომსახურებები	14
ბიზნესისათვის რელევანტური პროდუქტები და მომსახურებები	15
ფინანსური ინსტიტუტების შედარება მომსახურებებისა და პირობების მიხედვით	19
ბიზნესსესხი	21
საბრუნავი საშუალებების დაფინანსება	22
საინვესტიციო/გრძელვადიანი სესხი	23
რესტრუქტურისაცია	24
სესხის თანხა და ვადა	24
საპროცენტო განაკვეთი	26
სავალუტო რისკი	27
სესხის კალკულატორი	27
სესხის უზრუნველყოფა	27
თავდებობა	28
თანამსესხებლობა	28
დაზღვევა	29
ინფორმაციის მესამე პირისთვის გადაცემა	29
სესხის გადახდა	30
სესხის გადახდის გრაფიკი	30
საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები და კოეფიციენტები	32
ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები	33
ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები	33
სესხის მომსახურების კოეფიციენტი	33
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	33
ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი	34
საფინანსო ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია	35
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან	36
ბიზნესგეგმა	36
მოგება-ზარალის უწყისი	38
საბალანსო უწყისი	39
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	42
შემოსავლებისა და ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია	42
შეკითხვები ფინანსურ ორგანიზაციასთან	45
სასარგებლო ბმულები	48
განმარტებითი ლექსიკონი	50

შესავალი



მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო – „ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება“ – შემუშავდა იმ მენარმეების ფინანსური განათლების ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც ეწევიან მიკრო და მცირე სამენარმეო საქმიანობას ან აპირებენ მის წამოწყებას.

საქართველოში, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები მთლიანი სამენარმეო სექტორის უდიდეს ნაწილს შეადგენს. მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ დასაქმების ზრდაში, ინოვაციებისა და ექსპორტის ხელშეწყობაში, დოვლათის შექმნასა და ეკონომიკის განვითარებაში, რაც, საბოლოოდ, ქვეყნის კეთილდღეობაზე აისახება. სწორედ ამიტომ მათი საქმიანობის ხელშეწყობა ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა.

სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც მენარმეები არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგანან, მათ შორის, ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო არასაკმარისი ცოდნისა და უნარების თვალსაზრისით. დღესდღეობით ფინანსური პროდუქტები და მომსახურება სულ უფრო მრავალფეროვანი და კომპლექსური ხდება, ეკონომიკური ინტეგრაცია და ციფრული განვითარება კი ბიზნესებისთვის ახალ გამოწვევებს აჩენს. ამდენად, ფინანსური განათლება და საგანმანათლებლო რესურსების ფართო ხელმისაწვდომობა საკვანძო მნიშვნელობას იძენს.

ფინანსური განათლება ხელს შეუწყობს მიკრო და მცირე საწარმოების მფლობელებსა და ფინანსურ მენეჯერებს შეიძინონ და განავითარონ ის ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები, რომლებიც მათ, ბიზნესის საჭიროებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე, დაეხმარება სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში, მათ შორის, ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

წინამდებარე სახელმძღვანელოს დახმარებით მენარმე მიიღებს ინფორმაციას:

- დაფინანსების სხვადასხვა წყაროსა და თითოეულთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ;
- ბაზარზე გავრცელებული ფინანსური ინსტიტუტებისა და მათ მიერ შემოთა-

ვაზებული პროდუქტების/მომსახურებების შესახებ;

- ბიზნესის შეფასების გზებისა და ამისთვის გამოყენებული ძირითადი ინდიკატორების შესახებ.

სახელმძღვანელოს გაცნობის შემდეგ მენარმეს ასევე ექნება შესაძლებლობა:

- გახდეს უფრო თავდაჯერებული სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციასთან ურთიერთობისას;
- გაერკვიოს საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობებში;
- დასვას გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი მნიშვნელოვანი შეკითხვები;
- დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ბიზნესის მოკლევადიანი/გრძელვადიანი საჭიროებები და გადახდისუნარიანობა და, შესაბამისად, შეარჩიოს ყველაზე შესაფერისი ფინანსური პროდუქტი;
- განახორციელოს ფინანსური აღრიცხვა და დაგეგმოს ბიზნესის სამომავლო ქმედებები;
- დაფინანსების მოპოვების პროცესში გადადგას ეფექტიანი და გააზრებული ნაბიჯები, რათა გაზარდოს ბიზნესის მომგებიანობა და შეამციროს პოტენციური რისკები.

ეს სახელმძღვანელო წარმოადგენს დამხმარე დოკუმენტს, რათა წარმოდგენილ განმარტებებსა და მაგალითებზე დაყრდნობით მენარმისთვის შედარებით მარტივი იყოს ფინანსური რესურსის საჭიროებისა და გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული სარგებლისა თუ რისკის შეფასება; თუმცა, ფინანსური რესურსის გამოყენების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თავად მენარმე, რაც ნიშნავს იმას, რომ ის იაზრებს ამა თუ იმ ქმედების მოსალოდნელ შედეგებს და მისი გადაწყვეტილება დაფუძნებულია პასუხისმგებლობაზე.

მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE DF) მხარდაჭერითა და ექსპორტის განვითარების ასოციაციის (EDA) ჩართულობით.

ბიზნესის დაფინანსების წყაროები



ბიზნესის წამოსაწყებად, მიმდინარე საქმიანობისათვის (საბრუნავი საშუალებების დაფინანსება) და/ან მისი განვითარებისათვის (ინვესტირება ძირითად აქტივებში, შეძენა/გადაიარაღება) საჭიროა გარკვეული თანხის მობილიზება – ფლობა, შეგროვება, ან მოძიება. საჭირო თანხების მობილიზებისათვის ბიზნესს შეუძლია გამოიყენოს დაფინანსების სხვადასხვა წყარო, როგორცაა:



- საკუთარი სახსრები,
- ბანკიდან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან ან სხვა ფინანსური ინსტიტუტიდან აღებული სესხი (კრედიტი)
- სასაქონლო კრედიტი,
- გრანტი,
- ლიზინგი და ა. შ.

განვიხილოთ ზემოაღნიშნული წყაროები, მათთან დაკავშირებული უპირატესობებისა და საყურადღებო საკითხების გათვალისწინებით:

საკუთარი სახსრები



საკუთარი სახსრებით ბიზნესის წამოსწყება ან არსებულის გაფართოება, რა თქმა უნდა, ბიზნესის მიზნების მისაღწევად ყველაზე მოსახერხებელი და უსაფრთხო გზაა. ბიზნესის გასავითარებლად შესაძლებელია როგორც ბიზნესის მოგების დაბრუნება ისე ბიზნესში, ანუ რეინვესტირება, ისე მფლობელის მიერ ახალი ფულადი სახსრების დამატება – კაპიტალის გაზრდა. საკუთარი მოგებიდან ბიზნესის დაფინანსების ერთ-ერთი უპირატესობა, მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით, არის ის, რომ მენარმე არ იხდის მოგების გადასახადს იმ თანხაზე, რომელსაც დახარჯავს რეინვესტირებისას, ანუ ისევე ბიზნესის საჭიროებისთვის; თუმცა, ეს შედეგით ამ ეტაპზე არ ეხებათ ინდივიდუალურ მენარმეებს, რადგან ისინი იხდიან მხოლოდ სამშემოსავლო გადასახადს და არა მოგების გადასახადს. ამას გარდა, საკუთარი სახსრებით დაფინანსების ნებისმიერი ფორმის შემთხვევაში (მათ შორის, თანხის რეინვესტირებისას), დაფინანსების სხვა წყაროებისგან განსხვავებით, თანხის გამოყენება არ არის დაკავშირებული დროში განვლილ სხვადასხვა პროცედურასთან. საკუთარი სახსრებით ინვესტირების უპირატესობაა ისიც, რომ ბიზნესს არ უწევს ზედმეტი ხარჯის გაღება (მაგალითად, სესხის პროცენტის გადახდა) და რაიმე სახის უზრუნველყოფის (მაგალითად, უძრავი ქონების) წარმოდგე-

ნა, რასაც, თავის მხრივ, ახლავს სხვა რისკებიც: წარუმატებელი ბიზნესის შემთხვევაში შესაძლებელია საფრთხე დამეპუროს უზრუნველყოფაში ჩადებულ ქონებას (იხ. სესხის უზრუნველყოფა). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ბანკიდან და/ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან დაფინანსების მიღების შემთხვევაში, დამატებით სარგებლად შეიძლება ჩაითვალოს ფინანსური ინსტიტუტის მიერ განეული კონსულტაცია ან რჩევა, რაც მენარმეს დაეხმარება სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

საკუთარი სახსრებით ბიზნესის დაფინანსებისას საყურადღებოა შემდეგი გარემოება:



მაგალითი

ბიზნესს განვითარებისთვის სჭირდება თანხა და მფლობელმა ეს ფული პირადი დანაზოგიდან გაიღო. ეს ნიშნავს იმას, რომ მფლობელი ახდენს ბიზნესში დამატებით ინვესტირებას, რაც ზრდის ბიზნესის კაპიტალს. ამ გზით იზრდება მფლობელის წილიც, რაც გულისხმობს მოგებიდან მის მიერ მისაღები თანხის (ანუ დივიდენდის) ზრდასაც მომავალში. ვთქვათ, ბიზნესს 2 მფლობელი ჰყავს, თითოეულის წილი 50%-ია, მთლიანი კაპიტალი კი 20 000 ლარს შეადგენს; ეს ნიშნავს იმას, რომ თავდაპირველად მფლობელებმა 10 000-10 000 ლ ჩადეს ბიზნესში. ბიზნესს დამატებით დასჭირდა 5 000 ლ, რომელიც პირველმა მფლობელმა პირადი დანაზოგიდან ჩადო კაპიტალში. ამ შემთხვევაში კაპიტალი გაიზრდება: 20 000 ლ + 5 000 ლ = 25 000 ლ. დამატებითი ინვესტირების შედეგად პირველი მფლობელის წილი გახდება: 10 000 ლ + 5 000 ლ = 15 000 ლ/25 000 ლ = 60%, ხოლო მეორე მფლობელის წილი იქნება: 100% - 60% = 40% (სხვაგვარად: 10 000 ლ/25 000 ლ = 40%). მოგების განაწილების დროს გავრცელდება უკვე ახალი წილები (60% - 40%) და თუ მოგება 5 000 ლ-ია, პირველი მფლობელი დივიდენდის სახით მიიღებს 3 000 ლ-ს, ხოლო მეორე მფლობელი - 2 000 ლ-ს, მაშინ როდესაც, თავდაპირველი წილებით, მოგება შემდეგნაირად გადანაწილდებოდა: 2 500-2 500 ლ. ბიზნესისათვის საჭირო 5 000 ლარის მოძიების მეორე გზა არის სესხის აღება. ამ შემთხვევაში წილები დარჩებოდა უცვლელი (50%-50%), თუმცა ბიზნესს მოუწევდა სესხის პროცენტის, როგორც დამატებითი ხარჯის, გადახდა.

საერთო კაპიტალი 20 000 ლარი



ნილი: 50%

კაპიტალი: 10 000 ლ

მოგება: 2500 ლ



ნილი: 50%

კაპიტალი: 10 000 ლ

მოგება: 2500 ლ

საერთო კაპიტალი 25 000 ლარი



ნილი: 60%

კაპიტალი: 15 000 ლ

მოგება: 3000 ლ



ნილი: 40%

კაპიტალი: 10 000 ლ

მოგება: 2000 ლ

ინვესტიციის საჭიროების შემთხვევაში ბიზნესმა თავად უნდა გადაწყვიტოს, დაფინანსების მიღების რომელ გზას აირჩევს. მფლობელები ამ გადაწყვეტილებას იღებენ ურთიერთშეთანხმებით და ზოგ შემთხვევაში წილების ცვლილებას შეიძლება სესხით დაფინანსება ამჯობინონ.

სესხი (კრედიტი)



ბიზნესს სესხის აღება სესხის გამცემი სხვადასხვა ორგანიზაციისგან შეუძლია, როგორცაა კომერციული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. სესხით სარგებლობა შესაძლებელია ბიზნესის გაფართოებისა და განვითარების მიზნით, მიმდინარე პროექტების დასაფინანსებლად, ახალი იდეების ხორცშესასხმელად ან, თუნდაც, ბიზნესის დროებითი ფულადი დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

იმისათვის, რომ ბიზნესმა შეძლოს კრედიტით სარგებლობა, მან უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია თანხის დაბრუნება დათქმულ ვადაში. შესაბამისად, საფინანსო ინსტიტუტი შეისწავლის და გააანალიზებს ბიზნესს, მის გადახდისუნარიანობას, მის საჭიროებებს და ამის მიხედვით განსაზღვრავს გასაცემი თანხის ოდენობას, ვადასა და საპროცენტო განაკვეთს.

ამ რესურსის გამოყენებისას საყურადღებოა რამდენიმე საკითხი: გარკვეულ შემთხვევებში ფინანსურმა ორგანიზაციამ შესაძლოა მოითხოვოს სესხის რაიმე აქტივით უზრუნველყოფა (იხ. სესხის უზრუნველყოფა). ამასთან, სესხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ბიზნესს ჯარიმის სახით დაეკისრება ზედმეტად გადასახდელი თანხები; ხოლო სესხის ხანგრძლივი დროის განმავლობაში გადაუხდელობა ან დაგვიანებით გადახდა, საბოლოო ჯამში, საკრედიტო ისტორიის გაუარესებასაც გამოიწვევს.

შენიშვნა



მიმდინარე ეტაპზე საქართველოში ფუნქციონირებს ერთი **საკრედიტო-საინფორმაციო ბიურო**, რომლის მონაცემთა ბაზაშიც თავს იყრის სესხის გამცემი ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაცია თითოეული მსესხებლის მიერ აღებული სესხებისა და მათი დაფარვის შესახებ, რაც მსესხებლის საკრედიტო ისტორიას ქმნის. სესხის გამცემი ორგანიზაციები ამონიშნავენ ამ ბაზას სესხის გაცემამდე და მის საფუძველზე ადგენენ, რამდენად პასუხისმგებლობით ფარავდა მსესხებელი ვალდებულებებს წარსულში; ასევე, აქვს თუ არა მიმდინარე სესხები და როგორ იხდის მათ. ფინანსური ინსტიტუტები ამ ინფორმაციას იყენებენ სესხის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე სესხის მონიტორინგის პროცესში. როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მათი ვალდებულებების შესახებ საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროში დაცული ინფორმაცია.

გასათვალისწინებელია, რომ, თუ ბიზნესი ახალი და მას ჯერ არ აქვს საკმარისი გამოცდილება, ფინანსურმა ინსტიტუტმა შესაძლოა თავი შეიკავოს მისთვის თანხის გაცემისაგან. თუმცა დამწყები ბიზნესებისთვის არსებობს სპეციალური სასესხო პროდუქტები, რომლებსაც გვთავაზობენ ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები. სასესხო პროდუქტები განსხვავდება ფინანსური ორგანიზაციების მიხედვით და მათ შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება უშუალოდ სესხის გამცემ ორგანიზაციასთან კონსულტაციის გზით არის შესაძლებელი.

სასაქონლო კრედიტი



ეს არის მომწოდებლისგან მიღებული საქონელი, რომლის საფასურსაც მენარმე გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ იხდის. საფასურის გადახდის ვადა დამოკიდებულია პარტნიორთა შეთანხმებაზე; თუმცა ასეთ გარიგებას, როგორც წესი, გარკვეული პირობები უძღვის წინ, როგორცაა: ხანგრძლივი პარტნიორული ურთიერთობა, კომპანიის რეპუტაცია, გარანტიები და სხვ.

სასაქონლო კრედიტის უპირატესობა არის ის, რომ ბიზნესს საშუალება აქვს არ შეაჩეროს საქმიანობა და/ან არ თქვას უარი სამუშაოს შესრულებაზე მხოლოდ იმის გამო, რომ იმ მომენტისთვის არ გააჩნია საკმარისი თანხა საბრუნავი საშუალებისთვის, მაგალითად, ნედლეულის შესაძენად.



მაგალითი

სადურგლო საამქრომ მიიღო დიდი რაოდენობის ავეჯის დამზადების შეკვეთა და მას არ გააჩნია საჭირო ოდენობის ხის მასალა. იმავდროულად, მას არ აქვს საკმარისი თანხა ახალი მასალის საყიდლად. საამქროს შეუძლია ისარგებლოს სასაქონლო კრედიტით და მიიღოს საჭირო ხის მასალა იმ ვადით, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ დამკვეთისთვის დაამზადოს ავეჯი და მიღებული საფასურით გაისტუმროს სასაქონლო კრედიტი

სასაქონლო კრედიტის ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მისი მიღება მარტივი პროცედურით ხდება, მოითხოვს ნაკლებ დროს, სესხის მიღებასთან შედარებით, და, როგორც წესი, არ საჭიროებს უზრუნველყოფას.

სასაქონლო კრედიტით სარგებლობისას **გასათვალისწინებელია** რამდენიმე ფაქტორი, რამაც შესაძლებელია უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესზე. მაგალითად, თუ ობიექტური ან სუბიექტური მიზეზის გამო (ვერ მოხერხდა საქონლის რეალიზაცია, მყიდველმა არ გადაიხდა თანხა დროულად და სხვ.) მენარმემ დააგვიანა მიღებული სასაქონლო კრედიტის გადახდა, ეს უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და სამომავლოდ შესაძლებელია პარტნიორებმა და სხვა მომწოდებლებმა თავი შეიკავეთ ამ მენარმესთან ურთიერთობისგან.

ამასთან, თუ სასაქონლო კრედიტი უზრუნველყოფილია გარანტიით, მენარმემ შესაძლოა დაკარგოს აღნიშნული უზრუნველყოფა (იხ. საბანკო გარანტია).

ასევე **გასათვალისწინებელია**, რომ სასაქონლო კრედიტის გამოყენებისას პარტნიორმა შესაძლებელია მენარმეს საქონელი შესთავაზოს უფრო მაღალ ფასად, ვიდრე მის შეძენას მომენტალური გადახდის გზით შეძლებდა. ამ შემთხვევაში, სასაქონლო კრედიტს შესაძლოა საბანკო კრედიტი სჯობდეს. ბიზნესის პასუხისმგებლობა გააანალიზოს ამ ორი ალტერნატივიდან რომელია ნაკლებ რისკებთან და დანახარჯებთან დაკავშირებული და გადაწყვეტილება შესაბამისად მიიღოს.



მაგალითი

თქვენ გსურთ ავეჯის დასამზადებლად შეიძინოთ ხის მასალა. მასალის მთლიანი ღირებულებაა 12 000 ლ, თუმცა სასაქონლო კრედიტით სარგებლობის შემთხვევაში მასალის ფასი 13 500 ლარია და თანხა უნდა გადაიხადოთ 2 თვეში. სასაქონლო კრედიტით სარგებლობის გამო მასალა გიძვირდებათ 1 500 ლარით (13 500 ლ – 12 000 ლ = 1500 ლ). ჯამური 13 500 ლ უნდა შეადაროთ იმ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც მასალის შეძენა სესხით გინვეთ. ამისთვის, თქვენ უნდა მიმართოთ დაფინანსების ალტერნატიულ წყაროს (ბანკი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სხვ.) და გაარკვიოთ, თუ რა დაგიჯდებათ 12 000 ლარის სესხება 2 თვით. მაგალითად, თუ თქვენ შეადარებთ სესხს, რომელსაც საფინანსო ინსტიტუტი გთავაზობთ 17% წლიური საპროცენტო განაკვეთით:

სესხის ძირითადი თანხა (ძირი)	12 000 ლ
წლიური საპროცენტო განაკვეთი	17%
სესხის გაცემის საკომისიო %	1%
2 თვეში დარიცხული პროცენტი	255.60 ლ
სესხის გაცემის საკომისიო	120 ლ
სულ ხარჯი	375.60 ლ

გამოდის, რომ სესხით სარგებლობა დაგიჯდებათ 375.60 ლ, ხოლო სასაქონლო კრედიტით სარგებლობა – 1 500 ლ. თუმცა, ასევე უნდა გაითვალისწინოთ ბიზნესისთვის საჭი-

რო 12 000 ლარის მოძიების სისწრაფე; სა-საქონლო კრედიტის დროს მასალის მიღებას შეძლებთ მომენტალურად, ხოლო სესხის მი-ღებას გარკვეული დრო სჭირდება.

მრანტი



არის სხვადასხვა სახის დახმარება, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცემა ბიზნესს. თუმცა, შესაძ-ლებელია გრანტი მიიღებს აკისრებდეს გარკვეუ-ლი სახის ვალდებულებას: როგორცაა საკუთარი სახსრების ინვესტიცია, გარკვეული რაოდენობის თანამშრომელთა დასაქმება, ბიზნესის სადემონ-სტრაციო ჩვენება და სხვ.

გრანტები, როგორც წესი, გამიზნულია კონკ-რეტული სფეროს, დარგისა და არეალის განვი-თარებისთვის. გრანტის გაცემის პროცედურა შესაძლებელია ითვალისწინებდეს კონკურსს, მიმღების საჭიროების დადგენას, გრანტის სა-ნაცვლოდ დაკისრებული ვალდებულების შეს-რულებას და სხვ. ბიზნესისათვის გრანტით სარ-გებლობა საკმაოდ ხელსაყრელია, თუმცა ის ყო-ველთვის არ არის ხელმისაწვდომი და ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული. ამასთან, ხშირ შემ-თხვევაში, გრანტის მისაღებად ბიზნესი კონკ-რეტულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. მაგალითად, საგრანტო პროგრამა შეიძლება არ ითვალისწინებდეს საბრუნავი საშუალებების (მასალა, ხელფასი, იჯარა და სხვ.) სრულად და-ფინანსებას.

ამასთან, **გასათვალისწინებელია**, რომ შესაძ-ლებელია ბიზნესისთვის საჭირო დროს არ იყოს გამოცხადებული ამ ბიზნესის საჭიროებაზე მორ-გებული საგრანტო პროგრამა. შესაბამისად, ბიზ-ნესს მუდმივად არ აქვს ამ ფინანსური რესურსით სარგებლობის შესაძლებლობა.

ლიზინგი



გარკვეულ ეტაპზე ბიზნესს შესაძლოა ახალი ან დამატებითი მანქანა-დანადგარი ან აღჭურ-ვილობა დასჭირდეს. ასეთი შემთხვევებისთვის სალიზინგო კომპანიები ლიზინგს გთავაზობენ. სალიზინგო მომსახურების ფარგლებში სალი-ზინგო კომპანია ბიზნესის ნაცვლად ყიდულობს აქტივს, რომელიც ბიზნესს განვითარებისთვის სჭირდება – ეს შეიძლება იყოს სატრანსპორტო

საშუალება, სამედიცინო და სხვა ტიპის დანად-გარი, სამშენებლო ტექნიკა, აღჭურვილობა ან ინვენტარი – რომელთაც სალიზინგო კომპანია ბიზნესს გარკვეული, წინასწარ შეთანხმებული ვადით, გადასცემს. ამ ვადის განმავლობაში, ბიზნესი სარგებლობს აქტივით და, სანაცვლოდ, შეთანხმებული პირობებით იხდის მის საფა-სურს.

ლიზინგის მომსახურება, როგორც წესი, ითვალის-წინებს აქტივის გამოსყიდვას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შემდეგ, რაც ბიზნესი სრულად გადაიხდის აქტივის ღირებულებას და სარგებელს, ის ბიზნესის საკუთრებაში გადადის.

ლიზინგით სარგებლობის უპირატესობა ის არის, რომ მისი პროცედურები – სესხთან შედარებით – უფრო გამარტივებული და სწრაფია. ამასთან, ის, ძირითადად, არ საჭიროებს დამატებით უზრუნ-ველყოფას უძრავი ქონების სახით. ლიზინგით ასევე შესაძლებელია დაფინანსდეს აქტივის შე-ძენასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შო-რის, გარდა უშუალოდ აქტივის ღირებულებისა, ასევე მისი ტრანსპორტირება, განბაჟება, დაზღ-ვევა, დამონტაჟება და სხვ. თუმცა, ლიზინგსა და სესხს შორის არჩევანის გაკეთებისას აუცილებ-ლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ორივე შე-მოთავაზებასთან დაკავშირებული სრული ხარჯი, რადგან ლიზინგი, სესხთან შედარებით, დაფინან-სების უფრო მაღალპროცენტთან წყაროს წარმო-ადგენს; თუმცა, სესხთან შედარებით, ლიზინგის მიღება, როგორც წესი, უფრო ნაკლებ დროშია შესაძლებელი.

ფასიანი ქაღალდები



მენარმეს თავისი ბიზნესისთვის თანხის მოზიდ-ვა ასევე შეუძლია კაპიტალის ბაზარზე ფასიანი ქაღალდების – აქციების ან ობლიგაციების გა-მოშვების, ანუ ემისიის, გზით. აქცია ადასტურებს მისი მფლობელის (აქციონერის) წილს კომპანიაში და მისი გამოშვება მხოლოდ სააქციო საზოგა-დობას შეუძლია. ობლიგაცია კი სასესხო ტიპის ფასიანი ქაღალდია, რომელიც ადასტურებს კომ-პანიის ვალდებულებას, ობლიგაციის მფლობელს, საემისიო პირობების შესაბამისად, გადაუხადოს ნომინალური ღირებულება და ობლიგაციაზე და-რიცხული პროცენტი. ობლიგაცია განიხილება, როგორც საბანკო კრედიტის ალტერნატივა. ობ-ლიგაციის უპირატესობა, აქციასთან შედარებით,

ისაა, რომ მისი გამომშვები არ თმობს წილს კომპანიაში.

იმისთვის, რომ კომპანიაში გამოუშვას აქცია ან ობლიგაცია, მან უნდა გააკეთოს საჯარო ან კერძო შეთავაზება. საჯარო შეთავაზება – ეს არის ფასიანი ქაღალდების გამოშვება 100-ზე მეტი ან წინასწარ განუსაზღვრელი რაოდენობის ინვესტორებისთვის, ხოლო კერძო შეთავაზება 100-ზე ნაკლები ინვესტორისთვის ხდება. საჯარო შეთავაზების გზით კაპიტალის მოზიდვას თან ახლავს გარკვეული ხარჯები, რომლებიც გამომდინარეობს არსებული რეგულაციების მოთხოვნებიდან (მაგ., საერთაშორისო სტანდარტების აუდიტის კუთხით) და საერთაშორისო კორპორაციული მართვის სტანდარტებიდან. ამრიგად, საჯარო შეთავაზება განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი კომპანიებისთვისაა განკუთვნილი, კერძო შეთავაზება კი არ მოითხოვს ასეთ მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობას და მისი განხორციელება შედარებით ნაკლებ ხარჯთანაა დაკავშირებული. თუმცა აღსანიშნავია, რომ პოტენციური ინვესტორი კერძო შეთავაზების შემთხვევაში, როგორც წესი, უფრო მაღალ სარგებელს მოითხოვს, ვიდრე საჯარო შეთავაზებისას.

ზემოთ განხილული წყაროები დაფინანსების მოძიების ძირითადი საშუალებებია ბიზნესისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესს შეუძლია თანხა, სესხის ან კაპიტალის სახით, მიიღოს კერძო ინვესტორისგანაც. გარდა ამისა, ბაზარზე გვხვდება არასაბანკო, არამიკროსაფინანსო დაწესებულებები, მაგ.: ლომბარდები, ე. წ. „ონლაინსესხების“ გამცემი ორგანიზაციები, ასევე, კერძო გამსესხებლები და სხვა ტიპის გამსესხებლები, რომლებიც მომხმარებლებს სხვადასხვა სასესხო პროდუქტს სთავაზობენ. **გასათვალისწინებელია**, რომ ამ ტიპის სესხები ნაკლებადაა ორიენტირებული და მორგებული ბიზნესის საჭიროებებსა და განვითარებაზე; ამასთან, ისინი, როგორც წესი, მოკლევადიანია და ძვირია, და თუ მენარმე დაფინანსების ამ ფორმას შეარჩევს, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ მიიღებს ფინანსურ კონსულტაციებსა თუ რჩევებს.

გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი გარიგების შემთხვევაში სასურველია არსებობდეს დოკუმენტურად გაფორმებული შეთანხმება (უმჯობესია წერილობითი სახით), რომელშიც მითითებული იქნება სესხის თანხა, თანხის

დაბრუნების პირობები და ვადები, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის დაფინანსების წყარო: თავად ბიზნესის მეპატრონე, ოჯახის წევრი, მეგობარი თუ სხვა. ეს მენარმეს თავიდან აარიდებს პრობლემებს (მათ შორის, სამართლებრივს), რომლებიც შესაძლოა ბიზნესის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე წარმოიშვას. კერძოდ, გაფორმებული დოკუმენტის საფუძველზე, ყველა მხარისთვის თავიდანვე ცნობილი იქნება საკუთარი უფლებები და მოვალეობები, ასევე, ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი შედეგიც. ზეპირი შეთანხმების დროს კი მხარეები ხშირად დაწვრილებით არ განიხილავენ ზემოაღნიშნულ საკითხებს და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ რთულია იმის განსაზღვრა, თუ რას ითვალისწინებდა თავდაპირველად ურთიერთთანამშრომლობა.

მნიშვნა

სესხის აღება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფინანსური გადაწყვეტილებაა, რომლის მიღება შეიძლება დასჭირდეს მენარმეს და მას პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს. მენარმის ამოცანაა რეალურად შეაფასოს საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები როგორც დღეს, ისე სესხის დაფარვის მთელი პერიოდის განმავლობაში. ყურადღებით უნდა აწონ-დაწონოს თავისი ფინანსური შესაძლებლობები, მოიძიოს, რაც შეიძლება, მეტი ინფორმაცია იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელთანაც აპირებს თანამშრომლობას, და ყურადღებით წაიკითხოს ფინანსური მომსახურების პირობები და ხელშეკრულება, რომელსაც აწერს ხელს.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესი, საქმიანობის ყველა ეტაპზე, ახორციელებდეს ფინანსურ აღრიცხვას, რაც საშუალებას იძლევა განალიზდეს, თუ რომელი საშუალებით ჯობს ბიზნესის დაფინანსება: რეინვესტირება, საბანკო სესხი, ლიზინგი თუ სხვა. ამ ანალიზის საფუძველზე მენარმე ასევე შეძლებს განსაზღვროს, რა თანხის რეინვესტირების საშუალება აქვს და რა ოდენობის სესხის დაფარვას შეძლებს მისი ბიზნესი.

საფინანსო ინსტიტუტების მომსახურება



ბიზნესს შეუძლია ითანამშრომლოს სხვადასხვა ფინანსურ ორგანიზაციასთან, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, უნდა განსაზღვროს, თუ რა მომსახურება სჭირდება მას კონკრეტული მომენტისათვის.

ბაზარზე არსებული ფინანსური ორგანიზაციები ბიზნესს სხვადასხვა სახის პროდუქტს/მომსახურებას სთავაზობენ. იმისთვის, რომ მენარმემ სწორად შეარჩიოს ბიზნესისათვის ყველაზე შესაფერისი პროდუქტი/მომსახურება, საჭიროა გაერკვიოს ამ ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებულ პირობებში.

ბიზნესისათვის რელევანტური პროდუქტები და მომსახურება



დღესდღეობით საქართველოში, ბიზნესებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით, წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებია. დავიწყებთ მსჯელობა კომერციული ბანკების საქმიანობისა და მათ მიერ შემოთავაზებული მომსახურებების მიმოხილვით.

კომერციული ბანკი (შემდგომში „ბანკი“) – ფინანსური ინსტიტუტია, რომლის მომსახურებებსაც ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად იყენებენ როგორც პირადი, ისე საკუთარი ბიზნესის მიზნებისთვის. დღევანდელ დღეს ბიზნესის ფუნქციონირება ბანკის მომსახურების გარეშე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, რადგან თუნდაც ნებისმიერი საბიუჯეტო გადასახადის გადარიცხვა მხოლოდ საბანკო ანგარიშის გამოყენებით არის შესაძლებელი. საბანკო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე კარგად განვითარებულ სექტორს წარმოადგენს.

რა პროდუქტებს სთავაზობს ბანკი ბიზნესს?

ბიზნესსესხი – ეს არის თანხა, რომელსაც ბიზნესი ვალის სახით იღებს და ის განკუთვნილია მენარმეებისთვის, რომელთაც საკუთარი საქმიანობისთვის დამატებითი სახსრების მოზიდვა სურთ. მენარმეს ბიზნესსესხი შესაძლებელია დასჭირდეს როგორც საბრუნავი საშუალებების შესავსებად

(ნედლეულის, მარაგების) და ხელფასების, კომუნალური და სხვა საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად, ისე ძირითადი საშუალებების (მანქანა-დანადგარები, უძრავი ქონება და სხვ.) შესაძენად და/ან გადასაიარალებლად. იმ ამოცანას/მიზანს, რისთვისაც საჭიროა სესხი – სესხის მიზნობრიობა ეწოდება. ბიზნესსესხი, როგორც წესი, იფარება თანაბარი გადახდებით, თუმცა გადახდები შესაძლებელია იყოს არათანაბარიც (მაგ. სეზონური), ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე. სესხის დაფარვა ხდება ბიზნესსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

სესხის სახით მიღებულ თანხას თან ახლავს დამატებითი ხარჯები, როგორცაა: კრედიტზე დარიცხული პროცენტი, მომსახურების საკომისიო და სხვ. საბოლოოდ, სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ბიზნესი აბრუნებს იმაზე მეტ თანხას, ვიდრე გამოიყენა.

საკრედიტო ხაზი – არის ბიზნესსესხის ერთი სახეობა, რომელიც გულისხმობს მსესხებლისთვის გარკვეული ლიმიტის დამტკიცებას, რომლის ფარგლებშიც ბიზნესს უფლება აქვს თავისი საჭიროების მიხედვით, პერიოდულად გამოიყენოს ეს ლიმიტი სრულად ან ნაწილობრივ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი კი გამოყენებულ თანხასა და პერიოდზე დაერიცხება. ხშირ შემთხვევაში, ბანკმა შესაძლოა პროცენტი მოსარგებლეს გამოუყენებელ თანხაზეც დაარიცხოს, თუმცა ის ათვისებულ თანხაზე დარიცხულ პროცენტზე უფრო მცირე იქნება. საკრედიტო ხაზს ძირითადად არ აქვს ყოველთვიური დაფარვის გრაფიკი და ის შეიძლება მთლიანად დაიფაროს ვადის ბოლოს. ამასთან, ის მოკლე ვადით, მაქსიმუმ 1 წლით, გაიცემა.

საკრედიტო ხაზი, როგორც წესი, არ გამოიყენება ძირითადი საშუალებების შესაძენად. ის გამოიყენება საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად.

ოვერდრაფტი – ეს პროდუქტი ჰგავს საკრედიტო ხაზს – ის არის მოკლევადიანი და გამოიყენება მოკლევადიანი ვალდებულებების გასასტუმრებლად. არსებობს ბიზნეს- და სახელფასო ოვერდრაფტი.

ბიზნესოვერდრაფტი დაიშვება მიმდინარე ანგარიშზე და მარტივია მისი გამოყენება მოკლევადიანი ვალდებულებების გასასტუმრებლად, როგორცაა, მაგალითად: ხელფასი, იჯარა და სხვ. ბიზნესოვერდრაფტის შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი ერიცხება მხოლოდ ათვისებულ/გამოყენებულ თანხას, და თუ მენარმის ანგარიშზე შემოსული თანხით სრულად დაიფარება ათვისებული ოვერდრაფტი, მაშინ მას აღარ მოუწევს პროცენტის გადახდა. ოვერდრაფტის მაქსიმალური ლიმიტი, როგორც წესი, გამოიანგარიშება ბიზნესის საშუალო (ყოველთვიური) ბრუნვიდან გამომდინარე.

სახელფასო ოვერდრაფტი თავისი მახასიათებლებით ჰგავს ბიზნესოვერდრაფტს, თუმცა ის გაიცემა ფიზიკურ პირებზე მათი ხელფასის უზრუნველყოფით და მისი დანიშნულება მიმდინარე სამომხმარებლო ხარჯების დაფინანსებაა; როგორც წესი, მისი ლიმიტი მომხმარებლის ყოველთვიური ხელფასის მოცულობას უტოლდება.

საბანკო გარანტია – ეს პროდუქტი მოითხოვება და, შესაბამისად, ყველაზე ხშირად გამოიყენება ტენდერებში მონაწილეობისას. ამას გარდა, სხვადასხვა სახის ბიზნესგარიგების დროს პარტნიორმა (მომწოდებელმა ან კლიენტმა), თავის დაზღვევისა და მეორე მხარის მიერ გარიგების პირობების შესრულების მიზნით, შესაძლებელია მოითხოვოს გარანტია. გარანტიის გაცემისას ბანკი იღებს ვალდებულებას, რომ ის მზადაა მიმწოდებლის და/ან სამუშაოს შემსრულებლის მიერ გარიგების პირობების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში თავად აანაზღაუროს გარანტიით გათვალისწინებული თანხა. საგარანტიო თანხა, როგორც წესი, დამოკიდებულია გარიგების ღირებულებაზე. საბანკო გარანტიის მომსახურება ფასიანია და მას, სესხის მსგავსად, ერიცხება პროცენტი. საბანკო გარანტია შეიძლება იყოს როგორც უზრუნველყოფილი (მაგალითად საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით, უძრავი ან მოძრავი ქონებით), ასევე არაუზრუნველყოფილი. მნიშვნელოვანია, რომ ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი საბანკო გარანტია სესხთან შედარებით უფრო დაბალპროცენტია და მისი დამტკიცების პროცედურაც უფრო სწრაფია.

ხოლო არაუზრუნველყოფილი გარანტიის გაცემა ბიზნესსესხის მსგავსად მოითხოვს ბიზნესის გადახდისუნარიანობის შემომწმებას.



მაგალითი

თქვენ მონაწილეობთ ტენდერში და პროექტის ღირებულებაა 100 000 ლ. სატენდერო წინადადებით მოთხოვნილია საბანკო გარანტიის (ბანკის საგარანტიო წერილის) წარმოდგენა მთლიანი ღირებულების 5%-ის ოდენობით. საჭირო გარანტიის მიღების მარტივი გზაა ამ თანხის საბანკო ანგარიშზე განთავსება, რის შემდეგაც მიიღებთ საბანკო გარანტიას. თუ არ გაქვთ საკმარისი თავისუფალი ფულადი რესურსი, ამ შემთხვევაში ბანკს მაინც შეუძლია გასცეს საბანკო გარანტია ფინანსური მონაცემების შესწავლის გზით და, შესაძლოა, უძრავი/მოძრავი ქონებით უზრუნველყოფის მოთხოვნითაც (დამოკიდებულია საგარანტიო თანხასა და სხვა ფაქტორებზე). ორივე შემთხვევაში დაგეკისრებათ საპროცენტო გადასახადი, თუმცა პროცენტი დიდი ალბათობით იქნება ნაკლები, ვიდრე იქნებოდა სესხის შემთხვევაში.

დეპოზიტი (ანაბარი) – დეპოზიტის გახსნა გულისხმობს ბიზნესის თავისუფალი თანხის ბანკში გარკვეული დროით განთავსებას, რისთვისაც ბანკი სარგებელს (პროცენტს) გადაიხდის. აღნიშნული სარგებელი დამოკიდებულია თანხის ოდენობასა და განთავსების პირობაზე. დეპოზიტი შესაძლებელია იყოს **ვადიანი**, რომელზეც თანხის განთავსება შესაძლებელია კონკრეტული, წინასწარ განსაზღვრული ვადით. ამ ტიპის დეპოზიტის თანხის ვადაზე ადრე მოთხოვნისას ბიზნესი ვერ მიიღებს სრულ სარგებელს. ისეთ დეპოზიტს კი, რომელიც იხსნება უვადოდ და უფრო მოქნილია, რადგან ბიზნესი არ არის შეზღუდული თანხის შეტანა/გატანის მხრივ, **შემნახველი**, იგივე **მოთხოვნამდე, დეპოზიტი** ეწოდება.

საპროცენტო სარგებელი ვადიან ანაბრებზე უფრო მაღალია, ვიდრე უვადო/მოთხოვნამდე ანაბრებზე, თუმცა დეპოზიტებს შორის

არჩევანის გაკეთება, უპირველეს ყოვლისა, ბიზნესის მიზნიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. მაგალითად, თუ ბიზნესს უკვე აქვს გარკვეული თანხა, რომელიც კონკრეტულ დრომდე არ სჭირდება, მაშინ შესაძლებელია ამ თანხის ვადიან ანაბარზე განთავსება. თუმცა, **გასათვალისწინებელია**, რომ თუ ბიზნესის მფლობელს მაინც დასჭირდა ეს თანხა და ვადაზე ადრე მოუწია შეთანხმების დარღვევა, მაშინ ის ნაკლებ (ან, შესაძლოა ნულოვან) სარგებელს მიიღებს.

საბანკო გადარიცხვა – არის ოპერაცია, რომელიც ერთი ანგარიშიდან მეორე ანგარიშზე თანხის გადატანას გულისხმობს. საბანკო გადარიცხვა შესაძლებელია შესრულდეს როგორც ბანკის ფილიალში, ისე დისტანციურადაც – ინტერნეტბანკის მეშვეობით. გადარიცხვისთვის საჭიროა გამგზავნა იცოდეს მიმღების საბანკო რეკვიზიტები, რომლის მიღებაც ბანკშია შესაძლებელი.

გადარიცხვის ტარიფი შესაძლოა განსხვავდებოდეს იმის მიხედვით, თუ სად ხდება თანხის გადარიცხვა. საქართველოში თანხის გადარიცხვა ერთსა და იმავე ბანკში არსებულ ანგარიშებს შორის, როგორც წესი, უფასოა. ერთი ბანკიდან მეორე ბანკში ეროვნული ვალუტის გადარიცხვის სანაცვლოდ ბანკი გარკვეულ თანხას – ე. წ. მომსახურების საკომისიოს – იღებს, რომლის ტარიფიც დაბალია, გადარიცხვა კი სწრაფად ხორციელდება. იმ შემთხვევაში კი, თუ ბანკებს შორის ხდება უცხოური ვალუტის გადარიცხვა, საქართველოში განხორციელდება ეს თუ საზღვარგარეთ, ტარიფი, როგორც წესი, მაღალია. ტარიფი შესაძლებელია იყოს ფიქსირებული ან დამოკიდებული იყოს გადასარიცხი თანხის ოდენობაზე. მიუხედავად იმისა, რომ თანხის გადარიცხვა შესაძლოა ფასიანი იყოს, ეს თანხის გადაცემის ბევრად უფრო დაცული, საიმედო და მოსახერხებელი საშუალებაა, ვიდრე ნაღდი ანგარიშსწორება (ფულის ხელიდან ხელში გადაცემა). საილუსტრაციოდ, ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისაგან განსხვავებით, საბანკო გადარიცხვისას შესაძლებელია შესაბამისი ოპერაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება. მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ბანკისგან გადარიცხვის დამადასტურებელი ცალკეული საბუთის და/ან ამონაწერის მი-

ღება, რომელშიც ასახული იქნება ანგარიშზე შესრულებული ყველა ტრანზაქცია, მათ შორის, რაიმე პროდუქტის/მომსახურების საფასურის ან ჯარიმის გადახდა, ხელფასის გაცემა, ანგარიშზე თანხის მიღება და ყველა სხვა ფულადი ოპერაცია.

შენიშვნა



საბანკო გადარიცხვის უპირატესობები: დისტანციური, სწრაფი, საიმედო, დოკუმენტურად დადასტურებული, ამცირებს ფულის დაკარგვის რისკს.

ინტერნეტბანკი – არის მომსახურება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია დამოუკიდებლად და მარტივად, ბანკში მიუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით – კომპიუტერით ან მობილური ტელეფონით – სასურველი საბანკო ოპერაციების შესრულება, მათ შორის: საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთის კონტროლი, გადარიცხვების გაკეთება, ანგარიშზე ფულის მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიღება და სხვ. ინტერნეტბანკი საშუალებას იძლევა მომხმარებელმა ნებისმიერი ქმედება შეასრულოს მისთვის სასურველი ადგილიდან და ამგვარად, დაზოგოს დრო. ხშირად საბანკო ტრანზაქციები (ოპერაციები) ინტერნეტბანკის გამოყენებით უფრო ნაკლებ ხარჯთანაა დაკავშირებული, ვიდრე იმავე ოპერაციების ბანკის ფილიალში განხორციელება.

ფულადი გზავნილები – ბანკები ასევე გვთავაზობენ ფულადი გზავნილების მომსახურებას. ფულადი გზავნილი საბანკო გადარიცხვის მსგავსია, თუმცა ამ ორ პროდუქტს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: გზავნილის შემთხვევაში არ არის აუცილებელი გამგზავნ ან მიმღებ მხარეს ჰქონდეს საბანკო ანგარიში; ფულის გასაგზავნად და მისაღებად საკმარისია პირის საიდენტიფიკაციო დოკუმენტი (პასპორტი, პირადობის მოწმობა და სხვ.). ამასთან, ფულადი გზავნილებით სარგებლობა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ. ფულადი გზავნილი ანგარიშიდან გადარიცხვისაგან ასევე განსხვავდება ფულის მიღებისთვის საჭირო დროითა და ტარიფებით. თანხის მიმღებისთვის ფუ-

ლადი გზავნილი, ძირითადად, უფრო სწრაფად არის ხელმისაწვდომი, ვიდრე გადარიცხვით გაგზავნილი თანხა; თუმცა ფულადი გზავნილი შესაძლოა უფრო დიდ საკომისიოებთან იყოს დაკავშირებული.

საბანკო საგადახდო ბარათები – საგადახდო ბარათი – ეს არის ელექტრონული გადახდის საშუალება, რომელზეც შესაძლებელია ელექტრონულად ფულის განთავსება. ბარათით შესაძლებელია სავაჭრო ობიექტებში სასურველი საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის, ე. წ. ჩეკის, მიღება.

ბარათით შესაძლებელია ონლაინგადახდა; ამასთან, მისი გამოყენება შეიძლება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. საბანკო საგადახდო ბარათზე არსებული ფულის განაღდება შესაძლებელია ბანკის ფილიალში ან ბანკომატის მეშვეობით.

ბიზნესის სხვადასხვა მიზნისთვის შესაძლებელია **ბიზნესბარათით** სარგებლობა. მას აქტიურად იყენებენ ტენდერებში მონაწილეობის მისაღებად, რადგან მომსახურების საფასურის გადახდა ხდება დისტანციურად, კომპანიის სახელით. ასევე პრაქტიკულია ბიზნესბარათის გამოყენება კომპანიის სხვადასხვა ხარჯის დასაფარად.

საბანკო საგადახდო ბარათის ძირითადი სახეობებია **საკრედიტო** და **სადებეტო** ბარათები. სადებეტო ბარათით შესაძლებელია ანგარიშზე განთავსებული საკუთარი თანხის გამოყენება, ხოლო საკრედიტო ბარათის საშუალებით – ბანკის მიერ გარკვეული ლიმიტის ფარგლებში გამოყოფილი, ნასესხები თანხის მოხმარება, რისთვისაც – როგორც ეს სხვა სესხების შემთხვევაში ხდება – მომხმარებელი იხდის პროცენტს.

აღსანიშნავია, რომ საგადახდო ბარათებს არამარტო ბანკები გასცემენ; საგადახდო ბარათი ასევე შესაძლებელია გასცეს ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ან საგადახდო მომსახურების პროვაიდერმა.

პოსტერმინალი – არის მონყობილობა, რომლის საშუალებითაც მომხმარებელს შე-

უძლია საქონლის ან მომსახურების საფასურის გადახდა საგადახდო ბარათით. თუ ბიზნესი იყენებს პოსტერმინალს, მომხმარებლის მიერ პოსტერმინალით გადახდილი თანხა მენარმის საბანკო ანგარიშზე აისახება.

პოსტერმინალით სარგებლობისთვის გამოყვანილი ბანკს უხდის გარკვეულ საფასურს (პროცენტს) ტრანზაქციის მოცულობიდან. დღეს უკვე ძალიან ბევრი ადამიანი იყენებს საგადახდო ბარათს; შესაბამისად, სავაჭრო ობიექტზე პოსტერმინალის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბანკების გარდა, საქართველოში ბიზნესებს ემსახურებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც. **მიკროსაფინანსო ორგანიზაციები** ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებული ფინანსური ორგანიზაციებია და ისინი მომხმარებლებს სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობენ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები გასცემენ მიკროსესხებს, მათ შორის, სამომხმარებლო და ბიზნესსესხებს (თუმცა სესხის მაქსიმალური თანხა 100 000 ლარია), ახორციელებენ ვალუტის კონვერტაციას და ფულადი გზავნილების მომსახურებას, ფინანსურ კონსულტაციებს უწევენ მენარმეებს საკუთარ ბიზნესსაჭიროებებთან დაკავშირებით და ა. შ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შეუძლიათ გასცენ საკრედიტო ბარათებიც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია კონკრეტული რეგიონის ან ბიზნესსეგმენტის (მაგ., აგრობიზნესი, მიკრობიზნესი) დაფინანსებაზე.

დაფინანსების წყაროს შერჩევამდე ბიზნესის პასუხისმგებლობა კარგად გაერკვეს შემოთავაზებულ პირობებში, განიხილოს და ერთმანეთს შეადაროს რამდენიმე შემოთავაზება და შესაბამისად მიიღოს გადაწყვეტილება. შემდეგ თავში ჩვენ განვიხილავთ იმ ძირითად პარამეტრებს, რომლებზე დაყრდნობითაც ბიზნესს შეუძლია სესხის წყაროს შერჩევა.



შენიშვნა

კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოს ეროვნული ბანკი უწევს ზედამხედველობას. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიიღო უფლებამოსილება, თითქმის ისეთივე სრული ზედამხედველობა გაუწიოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობას, როგორც ბანკებს უწევს.

გასათვალისწინებელია, რომ სესხის გაცემის პრაქტიკა (მათ შორის, მოთხოვნილი საბუთების რაოდენობა, გადახდისუნარიანობის შემოწმების სტანდარტი, შემოთავაზებული პირობები და ა. შ.) შესაძლოა განსხვავდებოდეს სესხის გამცემ ორგანიზაციებს შორის. ამასთან, შემდეგ გვერდზე მოცემულ ცხრილში მხოლოდ ზოგადი ცნობებია წარმოდგენილი და თითოეული მენარმის პასუხისმგებლობაა გადაწყვეტილება ამომწურავი ინფორმაციის მოძიების, შემოთავაზებული პირობების დეტალურად განხილვისა და ხელშეკრულების ყურადღებით ნაკითხვის შემდეგ მიიღოს.



ფინანსური ინსტიტუტების შეღავათი მომსახურებაშია და პირობების მიხედვით

როგორც აღვნიშნეთ, დღესდღეობით, ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, საფინანსო მომსახურების მიღება ბიზნესს სხვა, არასაბანკო და არამიკროსაფინანსო დაწესებულებებიდანაც შეუძლია, როგორცაა ლომბარდები და ე. წ. „ონლაინსესხების“ გამცემი ორგანიზაციები. თუმცა მენარმემ უნდა გაითვალისწინოს, რომ ამ დაწესებულებების მიერ შემოთავაზებული სესხები, როგორც წესი, მოკლევადიანია, მაღალი პროცენტი აქვს და ნაკლებად არის მორგებული სამენარმეო/ბიზნესსაჭიროებებზე.

შევადართ ერთმანეთს ბაზარზე ყველაზე გავრცელებული ფინანსური ინსტიტუტები, მათ მიერ ბიზნესისთვის შემოთავაზებული პროდუქტების/მომსახურებების, ასევე სესხის გაცემის პირობების მიხედვით (იხილეთ ცხრილი შემდეგ გვერდზე).

სესხებზე საუბრისას, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ სალომბარდე სესხიც – ეს არის საფინანსო პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა უზრუნველყოფის საფუძველზე სესხად იქნეს აღებული გარკვეული თანხა (ძირითადად, უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით ნაკლები მოცულობით). სალომბარდე სესხი არ მიიჩნევა ბიზნესის დასაფინანსებლად განკუთვნილ პროდუქტად; ამასთან, ამ პროდუქტთან მიმართებით მენარმეს ყურადღება მართებს, რადგან ის მაღალპროცენტია და მისი გაცემისას, ჩვეულებრივ, არ ხდება მსესხებლის შემოსავლებისა და გადახდისუნარიანობის სიღრმისეულად შემოწმება. სალომბარდე სესხებს გასცემენ როგორც ლომბარდები, ისე ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც.



საბოლოოდ, მენარმემ თავად უნდა განსაზღვროს რა მომსახურება სჭირდება მას და რა რისკები და შესაძლებლობები ახლავს ამა თუ იმ ინსტიტუტთან თანამშრომლობას. მანვე უნდა გადაწყვიტოს, რა არის მისთვის უფრო მნიშვნელოვანი: სწრაფად აიღოს სესხი იქ, სადაც საპროცენტო განაკვეთი შედარებით მაღალია და სესხი მარტივადაა ხელმისაწვდომი, თუ აიღოს სესხი ისეთ დაწესებულებაში, რომელშიც უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთია, თუმცა შესაძლოა მეტი საბუთი და მეტი დრო დასჭირდეს სასესხო განაცხადის დაკმაყოფილებას.



მნიშვნელოვანია, რომ სესხის გაცემამდე ფინანსური ინსტიტუტის მიერ საფუძვლიანად მოხდეს ბიზნესის გადახდისუნარიანობის შესწავლა. ეს საშუალებას აძლევს ფინანსურ ინსტიტუტს თავიდან აირიდოს/შეამციროს ბიზნესის მხრიდან სესხის დაუბრუნებლობის რისკი და, ამასთან, ეხმარება მენარმეს ნათლად დაინახოს, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად მის ბიზნესში და რა სა-
მომავლო პერსპექტივები აქვს მას. **გასათვალისწინებელია**, რომ ბიზნესის წარმატებასა თუ წარუმატებლობას, უპირველეს ყოვლისა, თვითონ მსესხებლის მიერ საკუთარი შემოსავლების, ხარჯებისა და ვალდებულებების გონივრული გაანალიზება განაპირობებს.

პროდუქტი/მომსახურება		კომერციული ბანკი	მიკროსაფინანსო ორგანიზაცია	არასაბანკო/ არამიკროსაფინანსო ორგანიზაცია	
				ლომბარდი	სწრაფი, ე. წ. „ონლაინსესხის“ გამცემი ორგანიზაცია
სასესხო პროდუქტები					
ბიზნესსესხი		კი	კი	-	-
საკრედიტო ხაზი		კი	-	-	-
ბიზნესოვერდრაფტი		კი	-	-	-
გარანტია		კი	-	-	-
სესხის დამტკიცების პროცესი და პირობები					
სესხის დამტკიცების პროცესი		შედარებით მკაცრი პროცედურები	შედარებით მარტივი პროცედურები	მინიმალური პროცედურები	მინიმალური პროცედურები
სესხის პირობები	საპროცენტო განაკვეთი	შედარებით დაბალი	შედარებით მაღალი	მაღალი	ძალიან მაღალი
	უზრუნველყოფა	შიძლევა მოითხოვბურდეს	შიძლევა მოითხოვბურდეს	აუცილებელია	არ მოითხოვება
სხვა პროდუქტები/მომსახურებები					
ანგარიში		კი	-	-	-
დეპოზიტი ¹		კი	-	-	-
ფულადი გზავნილი		კი	კი	- ²	-
ფულადი გადარიცხვა		კი	-	-	-
საგადახდო ბარათი	სადებეტო ბარათი	კი	-	-	-
	საკრედიტო ბარათი	კი	კი	-	-
ვალუტის გაცვლა (კონვერტაცია)		კი	კი	კი ³	-

1 აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების გარდა, თანხების მოზიდვა თამასუქების გამოშვების გზითაც არის შესაძლებელი. **თამასუქი** – ეს არის ფასიანი ქაღალდი, რომლითაც მისი გამცემი პირი კისრულობს ვალდებულებას თამასუქის მყიდველს (მომხმარებელს) გადაუხადოს თამასუქში მითითებული თანხა. ხშირად თამასუქებზე საკმაოდ მაღალი სარგებელი არის შემოთავაზებული, თუმცა მომხმარებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თამასუქი – ეს არ არის დეპოზიტი. ამასთან, თამასუქის შექენამდე მომხმარებელმა კარგად უნდა შეისწავლოს მისი გამცემი ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა, რადგან მისი გაკოტრების შემთხვევაში მომხმარებელმა შესაძლოა ვერ დაიბრუნოს თანხა.

2 შესაძლებელია ახორციელებდეს იმ შემთხვევაში, თუ საგადახდო სისტემის პროვაიდერად არის დარეგისტრირებული.

3 შესაძლებელია ახორციელებდეს იმ შემთხვევაში, თუ ვალუტის გადამცველ პუნქტად არის დარეგისტრირებული.

ბიზნესენსი



ბიზნესსესხი, როგორც უკვე აღვნიშნეთ – ეს არის თანხა, რომელსაც განვითარების მიზნით ვაღის სახით იღებს ბიზნესი.

ბიზნესსესხის მიზნობრიობა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგალითად, საბრუნავი საშუალებების დაფინანსება ან ძირითადი საშუალებების შეძენა/განახლება.

როგორც წესი, საბრუნავი საშუალებებისთვის მიზანშეწონილია **მოკლევადიანი სესხის** აღება.

რაც უფრო მოკლევადიანია სესხი, მით უფრო მაღალია მისი ყოველთვიური შენატანი, თუმცა მოკლევადიანი სესხისთვის, საბოლოოდ, მენარმეს ჯამურად უფრო ნაკლები თანხის გადახდა უწევს პროცენტის სახით, ვიდრე გრძელვადიანი სესხისთვის მოუწევდა.

საბრუნავი საშუალებების სესხით დაფინანსების დროს შესაძლებელია ამ საშუალებების შექმნისთვის დახარჯული თანხის სწრაფად დაბრუნება, რადგან გადასახდელი თანხა შედარებით მცირეა, და მისი მობილიზება უფრო სწრაფად არის შესაძლებელი. რაც შეეხება ძირითად საშუალებებს – მათი დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხის დაბრუნება, შედარებით დიდი მოცულობიდან გამომდინარე, უმჯობესია გრძელვადიან პერიოდში განხორციელდეს, და ამ მიზნისთვის მიზანშეწონილია **გრძელვადიანი სესხის** აღება.

საბრუნავი საშუალებები, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია ბიზნესის ერთ ციკლთან: კონკრეტული ნედლეულის შესყიდვიდან – პროდუქტის გაყიდვამდე. ეს ციკლი, როგორც წესი, რამდენიმე თვე გრძელდება – მაქსიმუმ, ერთი წელი. ამიტომ მენარმეს აქვს საშუალება, აღნიშნული პროდუქტის შესაქმნელად დახარჯული თანხა დაიბრუნოს (ამოიღოს), საშუალოდ, ერთი წლის განმავლობაში ამ პროდუქტის გაყიდვის გზით, მაშინ, როცა გრძელვადიანი აქტივის, მაგალითად მანქანა-დანადგარის, შეძენა გათვლილია მის რამდენიმეწლიან მოხმარებაზე და მისი ღირებულების დაფარვაც ბიზნესის მიერ გამომუშავებული მოგების ხარჯზე უნდა მოხდეს.

მაგალითი



თქვენ ფლობთ წვენის საწარმოს და პროდუქტზე გაზრდილი მოთხოვნის გამო არსებული

რესურსით ვერ ასწრებთ ბაზრისთვის საჭირო რაოდენობის წვენის მიწოდებას. ამიტომ გადაწყვიტეთ შეიძინოთ ავტომატური ჩამომსხმელი ხაზი, რომლის ღირებულებაც 70 000 ლარია და ეს ჩამომსხმელი ხაზი ბიზნესს რამდენიმე წლის განმავლობაში მოემსახურება. თქვენ გადაწყვიტეთ, რომ სესხის აღების მიზნით მიმართოთ ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას. რადგან საწარმოო დანადგარი ბიზნესისთვის არის ძირითადი საშუალება და ის რამდენიმე წლის განმავლობაში მოგემსახურებათ, არ არის აუცილებელი, რომ მისი შექმნისთვის საჭირო თანხა იმავე წელს დაიბრუნოთ ბიზნესის შემოსავლიდან. ამ შემთხვევაში სესხის აღებისას უმჯობესია გათვლა უფრო გრძელ ვადაზე გქონდეთ. მაგრამ, თუ თქვენ არ ყიდულობთ ჩამომსხმელს, არამედ თანხა გჭირდებათ აქტიური სეზონისთვის მეტი წვენის საწარმოებლად ხილის მარაგის შესავსებად, უმჯობესია ბანკს/მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიმართოთ მოკლევადიანი (1 წელზე ნაკლები) სესხისთვის. ამ შემთხვევაში ხილი წარმოადგენს საბრუნავ საშუალებას. მაგალითად, თუ თქვენი აქტიური სეზონი ზაფხულის 3 თვეა, ე. ი. ხილის მარაგი უნდა შეიძინოთ იმ რაოდენობის წვენის საწარმოებლად, რომელიც 3 თვის განმავლობაში დაგჭირდებათ; 3 თვის თავზე კი თქვენ სრულად უნდა შეძლოთ აღნიშნული მარაგის გახარჯვა, წვენის წარმოება და გაყიდვა და იმდენი შემოსავლის მიღება, რომელიც საკმარისი იქნება ხილისთვის აღებული სესხის თანხის დასაფარად. შესაბამისად, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია მოკლევადიანი სესხის აღება.

საბრუნავი საშუალებების დაფინანსება



მენარმემ საბრუნავი საშუალებების დაფინანსების მოთხოვნით ბანკს ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტს, სასურველია, მიმართოს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ბიზნესის მარაგების შევსება, სხვადასხვა მასალის შეძენა, მომწოდებლების მიმართ არსებული ვალდებულებების გასტუმრება, ასორტიმენტის გაფართოების მიზნით ახალი პროდუქციის წარმოების დაფინანსება ან მოკლევადიანი ლიკვიდობის პრობლემის აღმოფხვრა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დებიტორული დავალიანების ზრდით. დებიტორული დავალიანების ზრდა ნიშნავს, რომ ბიზნესს ჰყავს კლიენ-

ტი, რომელიც მზად არის შეიძინოს დამატებითი რაოდენობის პროდუქცია თანხის შემდგომი გადახდის პირობით. ასეთ დროს კლიენტისგან თანხის მიღებამდე მენარმეს შეიძლება დასჭირდეს გარკვეული ფინანსური რესურსი, რომლის შესავსებადაც მიმართავს საფინანსო ინსტიტუტს.

ზემოაღნიშნული მიზნობრიობით გაცემული სესხები, როგორც წესი, შედარებით მოკლევადიანია (1-36 თვე) და ბიზნესციკლის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული.

საბრუნავი საშუალებების დაფინანსების საჭიროებით სესხის გაცემამდე ფინანსური ინსტიტუტი ბიზნესის შესახებ გაეცნობა შემდეგ ინფორმაციას:

- **დებიტორული დავალიანების მოცულობა** – რა თანხა აქვს მისაღები მენარმეს კლიენტებისგან, პროდუქციის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ;
- **დებიტორული დავალიანების ბრუნვა** – საშუალოდ, რამდენ დღეში იხდის კლიენტი შეძენილი საქონლის/მომსახურების საფასურს;
- **არსებული მარაგების მოცულობა;**
- **მარაგების ბრუნვა** – საშუალოდ, რამდენი დღე ჩერდება კომპანიაში თითოეული გასაყიდი პროდუქტის სახეობა;
- **კრედიტორული დავალიანების მოცულობა** – რა ვალი მართებს კომპანიას მომწოდებლების მიმართ;
- **კრედიტორული დავალიანების ბრუნვა** – საშუალოდ, რა ვადაში ხდება მომწოდებლის დავალიანების გასტუმრება;
- **გაყიდვების სეზონურობა.**

ამ მონაცემების შესწავლით ფინანსური ინსტიტუტი ამოწმებს, თუ რამდენად სჭირდება ბიზნესს თანხა საბრუნავი საშუალებისთვის, ანუ რამდენად სწორად იყენებს ბიზნესი არსებულ რესურსებს პროდუქციის წარმოებისა და გაყიდვისთვის. ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია ბიზნესს ჰქონდეს საშუალება სესხის გარეშე დაიფინანსოს თავი, თუმცა გრძელვადიანი დებიტორული დავალიანების, დიდი ოდენობით მარაგების ან სხვა პრობლემის გამო ხელთ არ ჰქონდეს საკმარისი თანხა საბრუნავი სა-

შუალების დასაფინანსებლად. თუ ბიზნესი ამ პრობლემას გადაჭრის, შესაძლებელია დამატებითი ფინანსური რესურსი აღარ დასჭირდეს.

აღსანიშნავია, რომ სესხის გაცემამდე ფინანსური ინსტიტუტი აფასებს ბიზნესის როგორც არსებულ, ისე იმ საპროგნოზო ფინანსურ მდგომარეობას, რომელსაც საბრუნავი საშუალებების დაფინანსების მიზნობრიობით სესხის აღება გამოიწვევს. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტს (იხ. მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი).

საინვესტიციო/გრძელვადიანი სესხი



ძირითადი საშუალებების განახლება და შექმნა ბიზნესის მხრიდან, როგორც წესი, დიდ თანხებს მოითხოვს. შესაძლოა ბიზნესს ჰქონდეს თავისუფალი სახსრები, თუმცა მათი ინვესტირება ძირითად საშუალებებში არ იყოს საკმარისი ან/და მიზანშეწონილი, რადგან ამ თანხის მიმართვა ბიზნესის სხვა საჭიროებისთვის უფრო პრიორიტეტულია. ამიტომ გრძელვადიანი სესხის მისაღებად ბიზნესი ხშირად მიმართავს სხვადასხვა წყაროს. სესხის გამცემი ორგანიზაცია კი, თავის მხრივ, განიხილავს და აფასებს ინვესტიციის ოდენობასა და მიზანშეწონილობას, კერძოდ, რამდენად ეფექტურად და რა ვადებში შეძლებს ბიზნესი ინვესტიციის დაბრუნებას.

საინვესტიციო საჭიროებებისთვის უმჯობესია მენარმემ გრძელვადიან სესხს მიმართოს. სესხის გაცემამდე ფინანსური ინსტიტუტი, ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების გარდა, აფასებს იმასაც, თუ რამდენად დროულად შეძლებს ბიზნესი სესხით შეძენილი საინვესტიციო საშუალებებით დამატებითი შემოსავლების მიღებას.



შემაჯავებელი

თქვენ გსურთ შენობის აშენება და ფინანსური ინსტიტუტს მოკლევადიანი სესხის მისაღებად მიმართავთ. ის შეაფასებს იმ რისკსაც, რომ მოკლე ვადაში ბიზნესს შესაძლოა გაუჭირდეს მშენებლობის დასრულება და, შესაბამისად,

სესხის ვადებში ვერ მოასწროს შემოსავლის მიღება. ასეთ დროს ბიზნესს შეიძლება დასჭირდეს სესხის გადავადება (რესტრუქტურისაცია) ან ახალი სესხის აღება ძველის გადაფარვის მიზნით. შესაბამისად, ფინანსური ორგანიზაცია გირჩევდათ ბიზნესის გრძელვადიანი საინვესტიციო საჭიროებისთვის მოკლევადიანი სესხის ნაცვლად გრძელვადიანი სესხის აღებას, რამდენადაც ამ შემთხვევაში დამფინანსებელი დარწმუნებული იქნება, რომ სესხის ვადებში ბიზნესი მოახერხებს შენობის აშენებას, მის ექსპლუატაციას და, შესაბამისად, შემოსავლის მიღებას, რაც უფრო გაუადვილებს მას სესხის გადახდას. სწორედ ამიტომ, სესხის მოთხოვნით თანხასთან ერთად, ფინანსურ ინსტიტუტს აცნობთ სამოქმედო გეგმასაც – რა მიზნით და რა ვადებში დაიხარჯება მოთხოვნილი სესხის თანხა.

რაც უფრო გრძელვადიანია სესხი, მით უფრო მეტად არის ის რისკის შემცველი ფინანსური ორგანიზაციისთვის, რამდენადაც გრძელვადიან პერსპექტივაში რთულია დაზუსტებით განისაზღვროს შეექმნება თუ არა მენარმეს გადახდასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ მიზეზით, გრძელვადიან სესხებს ფინანსური ორგანიზაციები, როგორც წესი, უზრუნველყოფით გაცემენ (იხ. სესხის უზრუნველყოფა).

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ შესაძლოა სესხი გაიცეს კომბინირებული მიზნობრიობითაც – საბრუნავი და საინვესტიციო საჭიროებების ერთობლივად დასაფინანსებლად.

რესტრუქტურისაცია



იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესი გარკვეული გარემოებების გამო ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, შესაძლოა დახმარების გარეშე ველარ შეძლოს არსებული ვალდებულებების დაფარვა. ასეთ დროს მენარმემ უნდა მიმართოს იმ ფინანსურ ორგანიზაციას, რომლისგანაც აიღო სესხი და შესაძლებელია მასთან შეთანხმდეს სესხის გადახდის ახალ პირობებზე, რომლებიც უკეთ შეესაბამება ბიზნესის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობას. ამ პროცესს რესტრუქტურისაცია ეწოდება, რაც არსებული სესხის მომსახურების პირობების შეცვლას გულისხმობს და რომლის მიზანიც, ძირითადად, მომხმარებლისთვის სესხის მომსახურების გამარტივებაა.

რესტრუქტურისაციის დროს, რამდენიმე სესხის არსებობის შემთხვევაში, ეს სესხები ყოველთვიური შენატანების შემცირების მიზნით, ძირითადად, ერთ სესხად ერთიანდება და უფრო გრძელ ვადაზე ნაწილდება. რესტრუქტურისაციას ხშირ შემთხვევაში თან ახლავს გაზრდილი საპროცენტო განაკვეთი; ამასთან, სესხის უფრო გრძელ ვადაზე გადანაწილება საბოლოოდ სესხზე გადასახდელი ჯამური თანხის ზრდას იწვევს. შესაბამისად, რესტრუქტურისაციამდე მსესხებელმა ეს გარემოებებიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

სესხის თანხა და ვადა



საბრუნავი საშუალებებისთვის მიღებული სესხი, ხშირ შემთხვევაში, მოკლევადიანია (1-3 წელი), მაშინ როდესაც საინვესტიციო სესხის ვადა 4-დან 15 წლამდე მერყეობს. სესხის თანხა დამოკიდებულია კომპანიის არსებულ ფინანსურ მაჩვენებლებზე, წარმოდგენილ უზრუნველყოფასა და სამომავლო გეგმებზე.

შენიშვნა



როგორც წესი, საინვესტიციო სესხის მაქსიმალური თანხა მთლიანი ძირითადი საშუალებების (მინა, შენობა, აღჭურვილობა და სხვ.) დაახლოებით 70%-80%-ია.

მაგალითი



თუ თქვენი ქონების საბაზრო ღირებულება დღეის მდგომარეობით 100 000 ლარია, ამ ქონების უზრუნველყოფით 80 000 ლარის ოდენობის სესხით სარგებლობას შეძლებთ (იხ. სესხის უზრუნველყოფა).

როგორც წესი, საფინანსო ინსტიტუტები სესხის ოდენობასა და ვადას იმ პრინციპით განსაზღვრავენ, რომ სესხის ყოველთვიური შენატანი ბიზნესის წმინდა მოგების 80%-ს არ აღემატებოდეს. სესხის ვადის დადგენისას მნიშვნელოვანია იმის დათვლა, თუ რა თანხის გადახდას შეძლებს ბიზნესი ყოველთვიურად ისე, რომ შენატანებმა მასზე მკვეთრად უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს.

მნიშვნელოვანია მეწარმემ ფინანსურ ინსტიტუტს დაუდასტუროს მოთხოვნილი თანხის **მიზნობრიობა**, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას იმის შესახებ, თუ რაში და როგორ დაიხარჯება მიღებული თანხა. კერძოდ:

მოთხოვნილი თანხის მოცულობა – რა თანხას ითხოვს მეწარმე სესხის სახით ფინანსური ორგანიზაციისგან.

კონკრეტული ჩამონათვალი – რაში აპირებს მეწარმე თანხის დახარჯვას: დეტალური ინფორმაცია შესაძენი საშუალებების შესახებ (მათ შორის, საქონლის, მომსახურების შესყიდვის და მასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების შესახებ: ტრანსპორტირება, განბაჟება, მონტაჟი და სხვ.).

ინვესტიციის მთლიანი თანხა და ხარჯთაღრიცხვა – ბიზნესის წამოსაწყებად ან ბიზნესში დაგეგმილი ცვლილებების განსახორციელებლად საჭირო მთლიანი თანხა (ინვესტიცია). ინვესტიციის განსახორციელებლად შესაძლოა სესხის თანხა არ იყოს საკმარისი და საჭირო იყოს სხვა ფულადი რესურსიც, როგორცაა საკუთარ ბიზნესში არსებული თანხა ან გარე წყაროდან (კერძოდ ინვესტორი, სხვა ფინანსური ორგანიზაცია, დონორი ორგანიზაცია და სხვ.) მოზიდული დამატებითი სახსრები ამ შემთხვევაშიც სესხის განაცხადს თან უნდა ერთოდეს დეტალური ინფორმაცია შესაძენი საშუალებების შესახებ.

სამუშაოების შესრულების განრიგ, ვადები – ხარჯის განვევასთან დაკავშირებული ყველა ქმედება და საჭირო ამოცანების შესრულება დეტალურად უნდა იყოს განწერილი დროში. ვადები უნდა იყოს რეალური, რაც ნიშნავს იმას, რომ კონკრეტული სამუშაოს შესრულება მოცემულ დროში უნდა იყოს შესაძლებელი მაგალითად, მშენებლობის დროს საქმიანობის ვადის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს გარე ფაქტორები, როგორცაა: მასალების შექმნა-მობილიზაციისათვის საჭირო ვადა, სეზონი, ამინდი, გაუთვალისწინებელი შემთხვევები და სხვ.

მაგალითი



გსურთ შეიძინოთ დანადგარი, რომლის ღირებულება 50 000 ლარია. ინვესტიციის ნაწილი, 15 000 ლარი, უკვე გაქვთ (ბიზნესიდან რეინვესტირებით ან საკუთარი სახსრებით) და დარჩენილი 35 000 ლარისთვის მიმართავთ ფინანსურ ინსტიტუტს. იმისათვის, რომ მიიღოთ სესხი, თქვენ აუცილებლად მოგიწევთ ინფორმაციის მიწოდება არამხოლოდ მოთხოვნილ 35 000 ლარზე, არამედ მთლიანი ინვესტიციის ღირებულებაზე, ანუ 50 000 ლარზე. ეს ინფორმაცია მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, მონაცემებს ინვესტიციის ჯამური ღირებულებით შესაძენი დანადგარის შესახებ (რას ყიდულობთ 50 000 ლარით) და 15 000 ლარის წარმომავლობას,

ანუ რა წყაროებით აპირებთ დარჩენილი 15 000 ლარის მოძიებას.

შენიშვნა



მიზნობრიობის წარდგენისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია განსაზღვროს მეწარმის სამომავლო მიზანი – კერძოდ, ინვესტიციის განხორციელების შემდეგ რისი მოლოდინი აქვს მეწარმეს? ეს შეიძლება იყოს შემოსავლის გაზრდა, ხარჯებისა და თვითღირებულების შემცირება, ხარისხის გაუმჯობესება და, შესაბამისად, მოგების მაჩვენებლის ზრდა. ყოველივე ეს განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად ეფექტურია ინვესტიციის განხორციელება ბიზნესისთვის.

ასევე, **გასათვალისწინებელია**, რომ დაფინანსების მიღების შემთხვევაში დამფინანსებელი მოითხოვს სესხის ათვისებასთან/დახარჯვასთან დაკავშირებულ ყველა დამადასტურებელ ფინანსურ დოკუმენტაციას, მათ შორის, აქტივის შეძენის შემთხვევაში – შესყიდვის დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს (ზედნაღები, ინვოისი ან ქვითარი), ასევე, შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში – შედეგების ამსახველ ფოტომასალას.

საპროცენტო განაკვეთი



სესხის საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრება ინდივიდუალურად, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის – რისკისა და ამონაგების – გათვალისწინებით, ხოლო სესხის დაფარვის გრაფიკი, როგორც წესი, მორგებულია ბიზნესის ციკლზე. გარდა ფინანსური მაჩვენებლებისა, სესხის პირობები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომპანიისა და მფლობელების საკრედიტო ისტორიასა და უზრუნველყოფის ხარისხზე.

ბიზნესსესხის საპროცენტო განაკვეთი შეიძლება იყოს როგორც **ცვლადი** (განაკვეთი იცვლება – იმატებს ან კლებულობს – სესხის ვადის განმავლობაში), ისე **ფიქსირებული** (განაკვეთი უცვლელია სესხის ვადის განმავლობაში). ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების შემთხვევაში ცვლადი საპროცენტო განაკვეთი მიბმულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე,⁴ ხოლო აშშ დოლარით გაცემული გრძელვადიანი სესხის განაკვეთი მიბმულია LIBOR-ის ინდექსზე,⁵ რომელიც ასევე იცვლება გარკვეული პერიოდულობით. როგორც წესი, ლარში გაცემული გრძელვადიანი სესხები ცვლადგანაკვეთიანია.

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ლარის, ისე უცხოური ვალუტის ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხები, ცვლადგანაკვეთიან სესხებთან შედარებით, უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთით გამოირჩევა.

სესხის პირობების გაცნობისას აუცილებელია მენარმემ ყურადღება მიაქციოს, თუ რა საპროცენტო განაკვეთს სთავაზობს საფინანსო ორგანიზაცია. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია არამხოლოდ ნომინალური, არამედ ეფექტური განაკვეთიც.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მითითებულია სასესხო ხელშეკრულებაში და ასახავს უშუალოდ სესხის თანხაზე დარიცხულ პროცენტს. ეს საპროცენტო განაკვეთი არ ასახავს სესხის მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასევე მითითებულია სასესხო ხელშეკრულებაში და რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ხარჯი, რომლებიც თან ახლავს სესხის აღებას, მაგალითად, სესხის დამტკიცებისა და გატანის საკომისიო, დაზღვევის საკომისიო, უზრუნველყოფის იპოთეკით დატვირთვის საფასური და სხვ. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტის შემოთავაზების ერთმანეთთან შედარების საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსით დაწესებულია მაქსიმალური ლიმიტები სესხის საპროცენტო განაკვეთებსა და სხვა ფინანსურ ხარჯებზე, მათ შორის, პირგასამტეხლოებზე.

შენიშვნა

სესხის აღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უმჯობესია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანალიზებით, ვინაიდან ის სესხთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს ასახავს.

სესხის აღებისას გასათვალისწინებელია ის ხარჯიც, რომელიც უკავშირდება სესხის მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებას, რამდენადაც ზოგიერთი დოკუმენტი ფასიანია და ეს ხარჯი ასევე გათვალისწინებულია ეფექტურ განაკვეთში.

4 რეფინანსირების განაკვეთი – მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი) ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტია და ის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისათვის.

5 LIBOR – ლონდონის ბანკთაშორისი შეთავაზების ინდექსი; ლონდონის ბირჟაზე მონაწილე ბანკებს შორის სესხების საშუალო საპროცენტო განაკვეთი, რომლის საფუძველზეც ბანკები ადგენენ საპროცენტო განაკვეთებს მომხმარებელზე გასაცემი სესხებისთვის.

ტურ საპროცენტო განაკვეთში. ასეთია, მაგალითად, ქონების რეგისტრაციის, ამონაწერის განახლების ან უზრუნველყოფის იპოთეკით დატვირთვის ხარჯი, დავალიანების ცნობების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯი და სხვ.

შენიშვნა



ყურადღებამისაქცევია ის, რომ, მენარმისთვის შეთავაზების მომზადებისას ფინანსური ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორცაა: ბიზნესის სტაბილურობა, პოზიტიური საკრედიტო ისტორია, წარმოდგენილი უზრუნველყოფა, წარსულში მჭიდრო თანამშრომლობა ამ ან სხვა ფინანსურ ინსტიტუტთან და სხვ. რაც უფრო მეტ აღნიშნულ ფაქტორს აკმაყოფილებს ბიზნესი, მით უფრო მაღალია უკეთესი შემოთავაზების მიღების ალბათობა.



საკულტო რისკი

სესხის აღებისას ძალზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს სესხის ვალუტა და მასთან დაკავშირებული რისკები. სესხის აღება შესაძლებელია ეროვნული ვალუტით ან უცხოური ვალუტით (მაგ. დოლარი, ევრო). ლარის სესხი, როგორც წესი, უფრო მაღალპროცენტია, ვიდრე უცხოური ვალუტის სესხი. თუმცა, უცხოური ვალუტით აღებულ სესხს თან ახლავს სავალუტო რისკი⁶. თუ ბიზნესს ძირითადი შემოსავალი ლარში აქვს, ხოლო სესხს უცხოური ვალუტით აიღებს, სესხის დასაფარად საჭირო თანხა (ლარში გამოსახული) დამოკიდებული იქნება ვალუტის კურსის ცვლილებაზე⁷. თუ ლარი გაუფასურდება უცხოური ვალუტის მიმართ, მაშინ მეტი ლარის კონვერტაცია იქნება საჭირო უცხოური ვალუტით შენატანების გასაკეთებლად, ხოლო თუ ლარი გამყარდება – მაშინ, პირიქით, ლარში გამოხა-

ტული შენატანები შემცირდება. **გასათვალისწინებელია**, რომ ვინაიდან გაცვლითი კურსი არაპროგნოზირებადია, უცხოური ვალუტით სესხების შემთხვევაში შეუძლებელია ზუსტი სამომავლო გათვლების გაკეთება. შესაბამისად, სესხის ვალუტის შერჩევამდე, ბიზნესმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ვალუტის კურსის ცვლილების რისკი.

თუ მენარმე სარგებლობს უცხოური ვალუტის სესხით და გადაწყვეტს ამ სესხის ლარში კონვერტაციას, ამისთვის მას შეუძლია მომსახურე ან სხვა ფინანსურ ორგანიზაციას მიმართოს. **გასათვალისწინებელია**, რომ ამ შემთხვევაში მენარმე რეალურად ახალ სესხს იღებს, რომლითაც ფარავს ძველ სესხს. შესაბამისად, გაფორმდება ახალი სესხის ხელშეკრულება.

სესხის კალკულატორი



სესხის აღებამდე მენარმემ ფინანსურ ორგანიზაციასთან უნდა განიხილოს ჯამში რა თანხის გადახდა მოუწევს სესხის სანაცვლოდ. სესხთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯის დამოუკიდებლად შეფასება და სხვადასხვა სასესხო შემოთავაზების შედარება შესაძლოა რთული იყოს; ამ მიზნით მენარმეს შეუძლია გამოიყენოს სესხის კალკულატორი, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზეა ხელმისაწვდომი (იხ. სასარგებლო ბმულები). ეს კალკულატორი აჩვენებს გრაფიკს, რომელშიც ასახული იქნება სესხის ყოველთვიური სავარაუდო შენატანები და ის ჯამური თანხა, რომელიც ყოველი შენატანის განხორციელების შემდეგ რჩება გადასახდელი. სესხის კალკულატორის დახმარებით მენარმე გაანალიზებს, თუ რა დაუჯდება სესხი რეალურად.

სესხის უზრუნველყოფა



ფინანსურმა ორგანიზაციამ სესხის გასაცემად შესაძლებელია მოითხოვოს სესხის უზრუნველყოფა უძრავი ან მოძრავი ქონებით (მათ შორის, დანადგარებით) ან დეპოზიტით, რაც გულისხმობს უზრუნველყოფის საგნის დატვირთვისას იპოთეკით ან გირავნობით. ვალდებულების შე-

6 უფრო დანვრილებით, სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკისა და EFSE DF-ის მიერ შემუშავებულ ბროშურაში: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/efse/EFSE_broschure_geo.pdf

7 უფრო დანვრილებით, საქართველოში მოქმედი მცურავი გაცვლითი კურსის შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის ვებგვერდზე: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=521>

უსრულელობის შემთხვევაში ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს დაისაკუთროს ეს ქონება ან/და მოახდინოს მისი რეალიზაცია და ამ გზით დაიბრუნოს სესხის თანხა.

თუ მენარმე სესხს უზრუნველყოფს უძრავი ქონებით, მაშინ ამ ქონების საკუთრების დასადასტურებლად მას დასჭირდება საჯარო რეესტრიდან ამონაწერი. ფინანსური ინსტიტუტი ამ ქონებას შეამოწმებს ადგილზე და აღბეჭდავს ფოტოზე, რათა შეაფასოს მისი ღირებულება. ფინანსური ორგანიზაცია სესხის უძრავი ქონებით უზრუნველყოფას ითხოვს იმისთვის, რომ შეამციროს სესხის დაუბრუნებლობასთან დაკავშირებული რისკი და, საჭიროების შემთხვევაში, სესხი დაიბრუნოს ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხით. სესხის უზრუნველსაყოფად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფიზიკური და იურიდიული პირის უძრავი და მოძრავი ქონება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სესხის მაქსიმალური თანხა ძირითადი საშუალებების (მინა, შენობა, აღჭურვილობა და სხვ.) მთლიანი ღირებულების დაახლოებით, 70%-80%-ია. **სესხის თანხის ფარდობას უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებასთან სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი ეწოდება.**



უზრუნველყოფა ფინანსური ინსტიტუტის მიერ მენარმის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია; თუმცა, თუ მსესხებლის გადახდისუნარიანობა არ არის დამაკმაყოფილებელი, მაშინ ფინანსური ინსტიტუტისთვის ქონებით უზრუნველყოფა უკვე ნაკლებმნიშვნელოვანია.

შენიშვნა



სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში, შესაბამისი წესით, საქართველოს კანონმდებლობისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ყადაღა, რაც თავის მხრივ აისახება ბიზნესსაქმიანობაზე, ხოლო ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია ბიზნესის შეჩერების ერთ-ერთი მიზეზიც გახდეს.

თავლებობა



თავდებობაც უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფორმაა. თავდები, როგორც წესი, არის ბიზნესთან დაკავშირებული იურიდიული ან ფიზიკური პირი (მფლობელი ან დირექტორი, შესაძლებელია ოჯახის წევრიც), რომელიც იღებს ვალდებულებას, მსესხებლის მიერ სესხის ვერ ან არ გადახდის შემთხვევაში თავად უზრუნველყოს მისი დაფარვა.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც მსესხებელი, ისე თავდები აცნობიერებდნენ, რომ მსესხებლის მიერ სესხის გადაუხდელობის შემთხვევაში ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს დავალიანების დაფარვა მოსთხოვოს თავდებს. ზოგ შემთხვევაში, სესხის გაცემამდე საფინანსო ორგანიზაციამ შესაძლოა შეაფასოს თავდების გადახდისუნარიანობაც.



მაგალითი

გსურთ აიღოთ სესხი 50 000 ლარის ოდენობით, სესხის გამცემი ორგანიზაცია კი თავდებს ითხოვს. დახმარებისთვის მიმართეთ ოჯახის წევრს ან მეგობარს, რომლის შემოსავლებიც ბანკისთვის საკმარისია და ეს ადამიანი გახდა სესხის თავდები. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ვერ გადაიხდით სესხს, ფინანსური ორგანიზაცია სესხის დაფარვას თავდებს მოსთხოვს.

თანამსესხებლობა



სასურველი კრედიტის დასაფარად მხოლოდ ბიზნესის შემოსავალი შესაძლოა არ იყოს საკმარისი. ამ შემთხვევაში, ფინანსურ ინსტიტუტს შეუძლია გაითვალისწინოს სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის შემოსავალი, თუ ეს უკანასკნელი თანახმა იქნება გახდეს თანამსესხებელი. თანამსესხებელი მსესხებელთან ერთად კისრულობს ვალდებულებას, დაფაროს ერთობლივად აღებული კრედიტი. ფინანსური ინსტიტუტი სრულყოფილად შეისწავლის როგორც მსესხებლის, ისე თანამსესხებლის ფინანსურ მდგომარეობას და ორივესთან გააფორმებს საკრედიტო ხელშეკრულებას.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფინანსო ინსტიტუტთან ბიზნესის სასესხო ურთიერთობის შედეგად იქმნება მისი საკრედიტო ისტორია. საკრედიტო ისტორია მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ბიზნესის მიერ აღებული სესხებისა და მათი დაფარვის შესახებ. ეს ისტორია საფინანსო ინსტიტუტს უქმნის წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რამდენად პასუხისმგებლიანი მსესხებელია მენარმე. რაც უფრო დროულად ფარავდა მენარმე წარსულში ვალდებულებებს, მით უფრო დიდი ნდობით ისარგებლებს ის ფინანსური ორგანიზაციის მხრიდან და მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ მან დაფინანსება მიიღოს მარტივად და მოსახერხებელი პირობებით; ხოლო თუ მენარმე წარსულში დაგვიანებით ფარავდა ვალდებულებებს, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს შემოთავაზებული სესხის პირობებზე (მაგ., შესაძლებელია საპროცენტო განაკვეთი იყოს საკმაოდ მაღალი, ან მოთხოვნილ იქნას დამატებითი უზრუნველყოფა), ზოგიერთ შემთხვევაში კი სესხის გაცემაზე უარის თქმის მიზეზიც გახდეს.

დაზღვევა



ცხოვრებაში ხშირად ხდება გაუთვალისწინებელი შემთხვევები, მაგალითად: სტიქიური უბედურებები, ქურდობა-ყაჩაღობა, ქონების დაზიანება – რომლებსაც ჩვენთვის და ჩვენი ბიზნესისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის მიყენება შეუძლია. ცხადია, რთულია ყველა შესაძლო რისკის წინასწარ განსაზღვრა, თუმცა დაზღვევა სწორედ ის ფინანსური ინსტრუმენტია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია პოტენციური რისკების რეალიზების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის შემცირება ან სრულიად თავიდან არიდება.

არსებობს დაზღვევის მრავალი ტიპი, რომლებსაც აქტიურად იყენებენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. მენარმეებს შეუძლიათ დააზღვიონ ბიზნესის მფლობელობაში არსებული უძრავი ან მოძრავი ქონება, კერძოდ: **შენობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები**. ამასთან, ექსპორტით ან იმპორტით დაკავებულ მენარმეებს შეუძლიათ

დააზღვიონ **ტვირთი** ტრანსპორტირების პერიოდში, ხოლო მენარმეებს, რომლებსაც დაქირავებული **მუშახელი** ჰყავთ, შეუძლიათ დააზღვიონ საკუთარი თანამშრომლების მიერ სამუშაო ადგილზე დაზიანების მიღების რისკი და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ სესხის განაცხადის განხილვისას ფინანსურმა ინსტიტუტმა რისკების შემცირების მიზნით შესაძლოა მოითხოვოს ბიზნესის დაზღვევა. გარდა ამისა, ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე, სესხის გამცემმა ორგანიზაციამ შესაძლოა მენარმეს შესთავაზოს სესხის უზრუნველყოფის ან სიცოცხლის დაზღვევის შეძენაც. რიგ შემთხვევებში, ეს დაზღვევა სავალდებულოა. ასეთ დროს დაზღვევის ხარჯი, როგორც წესი, შესულია კრედიტის ყოველთვიურ შენატანში, ასახულია საპროცენტო განაკვეთში და გათვალისწინებულია სესხის ხელშეკრულებაში.

ინფორმაციის მისაღებად პირისთვის მალევე



კომერციული ბანკების შემთხვევაში ცნობები ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების, ამ ანგარიშებიდან განხორციელებული ოპერაციებისა და ანგარიშებზე არსებული ნაშთების შესახებ, ხოლო სხვა ფინანსური ინსტიტუტების შემთხვევაში - ინფორმაცია ნებისმიერი გარიგების, განხორციელებული ოპერაციის, არსებული დავალიანების ან ნაშთის შესახებ შეიძლება მიეცეს შესაბამისი ანგარიშების მფლობელებს და მათ წარმომადგენლებს. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში აღნიშნული ინფორმაცია შეიძლება გადაეცეს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და აღმასრულებლებს, სხვა პირებს კი - მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი აქტის საფუძველზე.



გასათვალისწინებელია, რომ ფინანსურ ინსტიტუტებს არ აქვთ უფლება გაათქვანონ ან გაავრცელონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია ფიზიკური ან იურიდიული პირის შესახებ.



მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური ინსტიტუტი და მსესხებელი შეთანხმდნენ სესხის დაფარვის ისეთ გრაფიკზე, რომელიც მორგებულია მსესხებლის ბიზნესსაქმიანობაზე და ითვალისწინებს ბიზნესის განვითარების სტადიას, მის სეზონურობას ან სხვა სპეციფიკურ მახასიათებლებს.

ზოგიერთ შემთხვევაში ბიზნესს შესაძლოა სესხის დაფარვა ვადაზე ადრე დასჭირდეს. ამ გადაწყვეტილების დადებითი მხარე ის არის, რომ ბიზნესი დარჩენილი ვადის განმავლობაში შემცირებულ ძირ თანხაზე დარიცხულ პროცენტს აღარ გადაიხდის. თუმცა, ისიც **გასათვალისწინებელია**, რომ სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში ბიზნესს შესაძლოა მოუწიოს წინსწრებით დაფარვის საკომისიოს გადახდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ადგენს წინსწრების საკომისიოს მაქსიმალურ ლიმიტს, ხოლო საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწევნისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“ ადგენს წინსწრების საკომისიოს ლიმიტებს ხელშეკრულების დარჩენილი ვადისა და წინსწრებით დაფარვის მიზნების გათვალისწინებით. წინსწრებით დაფარვის საკომისიოს ლიმიტები განსხვავდება იმ ვადის მიხედვით, რომელიც დარჩენილია ხელშეკრულების დასრულებამდე:

ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილი ვადა	6 თვემდე	6-12 თვემდე	12-24 თვემდე	24 თვეზე მეტი
%	0%	0.5%	1%	2%

შენიშვნა



საქართველოში ფინანსური სექტორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებს არეგულირებს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული **„ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განწევნისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი“**. ეს რეგულაცია ადგენს საავალდებულო წესებს, რომლებიც ეროვნული ბანკის ზედამხედველობის

ქვეშ არსებულმა ფინანსურმა ორგანიზაციებმა, მათ შორის, ბანკებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა დაიცვან და ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს მოიცავს, როგორცაა: მომხმარებლისთვის ინფორმაციის სრულად, გასაგებ ენაზე და დროულად მიწოდება; მომსახურებების რეკლამირება-შეთავაზებისას დაკავშირებული ხარჯების ნათლად წარმოჩენა; ხელშეკრულების გაფორმებისას გარკვეული სტანდარტების დაცვა; პრეტენზიების მიღება და გონივრულ ვადებში რეაგირება და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ეს წესი იცავს მომხმარებელთა ფართო არეალს – როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს. **გასათვალისწინებელია**, რომ აღნიშნული წესის გავრცელება სესხის გამცემ სხვა ორგანიზაციებზე იგეგმება 2019 წლის 1 იანვრიდან, თუმცა ის არ ფარავს სალიზინგო და სადაზღვევო საკითხებს. ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის ბმული იხილეთ სასარგებლო ბმულებში.

სესხის გადახდის მრავლი



ბიზნესსაქმიანობიდან გამომდინარე, მენარმემ ფინანსურ ორგანიზაციასთან უნდა განიხილოს და შეათანხმოს საკუთარ ბიზნესზე მორგებული გადახდის ინდივიდუალური გრაფიკი. თუ ბიზნესის შემოსავალი სეზონურია, შესაძლებელია საშელავათო პერიოდით სარგებლობა – საშელავათო თვეების განმავლობაში სესხზე შენატანი მცირდება ან საერთოდ უქმდება და სესხის ძირითადი (ძირი) თანხის შესაბამისი ნაწილიც არასაშელავათო პერიოდზე ნაწილდება. ამასთან, საშელავათო პერიოდში შესაძლოა მხოლოდ სესხის პროცენტის გადახდა, ხოლო ძირი თანხის გადახდა მენარმეს შეუძლია დაიწყოს საშელავათო პერიოდის გასვლის შემდეგ.

მაგალითი



თქვენ ფლობთ საოჯახო სასტუმროს ბაკურიანში და სესხის აღება გსურთ შემოდგომის პერიოდში, როდესაც თქვენ არ გყავთ დამსვენებელი. ამ შემთხვევაში, ფინანსურმა ინსტიტუტმა შეიძლება შემოგთავაზოთ საშელავათო პირობები, მაგალითად: სესხის გადახდას დაიწყებთ იანვარში, ზამთრის სეზონის დაწყებისას, ან იანვრამდე გადაიხდით

მხოლოდ სესხის პროცენტს, ხოლო პროცენტთან ერთად ძირი თანხის დაფარვას დაინყებთ იანვრიდან.

ინდივიდუალური გრაფიკი მნიშვნელოვანია ყველა იმ ბიზნესისათვის, რომლებსაც ახასიათებთ შემოსავლების მიღების სეზონურობა. ასეთი ბიზნესებია: აგრობიზნესი, ტურისტული ბიზნესი, სამშენებლო ბიზნესი და სხვ.

ბიზნესსესხის დაფარვა, ძირითადად, ანუიტეტური გრაფიკით ხდება.



ანუიტეტი

ანუიტეტი არის გადახდის ისეთი გრაფიკი, რომლის ფარგლებშიც სესხის დასაფარად ყოველთვიურად ერთი და იგივე თანხა გადასახდელი. სესხის დაფარვის ამ ფორმის უპირატესობა ის არის, რომ მენარმემ ზუსტად იცის სესხის დასა-

ფარად რა თანხის გამოყოფა მოუწევს ყოველთვიურად ბიზნესის შემოსავლებიდან.

ანუიტეტის შემთხვევაში თითოეული შენატანი მოიცავს როგორც სესხის ძირითად, ანუ ძირ თანხას, რომელიც ფინანსურმა ორგანიზაციამ სესხის სახით გამოყო, ისე ძირ თანხაზე დარიცხულ პროცენტს, რომლის განაკვეთიც ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. ყოველ მომდევნო თვეს პროცენტი ერიცხება სესხის დარჩენილ, უკვე შემცირებულ ძირ თანხას; შესაბამისად, დროის გასვლასთან ერთად, მცირდება საპროცენტო ხარჯი. გასათვალისწინებელია, რომ თუ მენარმე გრაფიკით შეთანხმებულ ვადაში არ შეიტანს სესხის ყოველთვიურ გადასახადს, ფინანსური ორგანიზაცია მას პირგასამტეხლოს/ჯარიმას დააკისრებს, რომლის ოდენობაც ასევე შეთანხმებულია ხელშეკრულებით.

როგორც ქვემოთ მოცემული გრაფიკიდანაც ჩანს, სესხის ძირი თანხის შემცირებასთან ერთად, კლებულობს მასზე დარიცხული საპროცენტო ხარჯიც.

სესხის მოცულობა	15,000 ლ
პერიოდი (თვე)	12
საპროცენტო განაკვეთი	14%

პერიოდი	სესხის ძირის საწყისი ბალანსი	ჯამური შენატანი (PMT)	სესხის ძირის გადახდა	სესხზე დარიცხული პროცენტი	სესხის ნარჩენი ძირი
თვე 1	15,000	1,347	1,172	175.00	13,828
თვე 2	13,828	1,347	1,185	161.33	12,643
თვე 3	12,643	1,347	1,199	147.50	11,443
თვე 4	11,443	1,347	1,213	133.51	10,230
თვე 5	10,230	1,347	1,227	119.35	9,003
თვე 6	9,003	1,347	1,242	105.03	7,761
თვე 7	7,761	1,347	1,256	90.54	6,505
თვე 8	6,505	1,347	1,271	75.89	5,234
თვე 9	5,234	1,347	1,286	61.06	3,948
თვე 10	3,948	1,347	1,301	46.06	2,647
თვე 11	2,647	1,347	1,316	30.88	1,331
თვე 12	1,331	1,347	1,331	15.53	0
ჯამი		16,162	15,000	1,162	

საფინანსო ინსტიტუტის მიერ
ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები
და კოეფიციენტები



სესხის აღების გადაწყვეტილების მიღებამდე მენარმემ უნდა შეაფასოს ბიზნესის გადახდისუნარიანობა. ამისთვის საჭიროა ფინანსური ანგარიშგების წარმოება (ფინანსური უწყისების შედგენა) და ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების გამოთვლა. სესხის გამცემი ორგანიზაცია ბიზნესის დაფინანსების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით ფინანსური უწყისების შესწავლისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ითვლის და ითვალისწინებს ფინანსურ კოეფიციენტებსაც. ამ კოეფიციენტებს ფინანსური ორგანიზაცია გამოითვლის მენარმის მიერ მიწოდებულ ფინანსურ ინფორმაციაზე დაყრდნობით; თუმცა, მენარმეს თავადაც შეუძლია გამოთვალოს და გამოიყენოს ეს კოეფიციენტები საკუთარი ბიზნესის გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნით.

ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები

ბიზნესის დაფინანსებისას სესხის გამცემი ორგანიზაციის წარმომადგენელი/შემფასებელი ყურადღებას ამახვილებს შემდეგ კრიტერიუმებზე:

სესხის მიზანი

საქმიანობის განხორციელების გეგმა

უზრუნველყოფის წარმოდგენილი საშუალებები

ბიზნესის სამომავლო გეგმები და საპროგნოზო შედეგები

განსახორციელებელი ინვესტიციაში თანამონაწილეობა

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

სესხის მომსახურების კოეფიციენტი – გამოითვლება საპროცენტო ხარჯამდე და მოგების გადასახადამდე მსესხებლის ყოველთვიური მოგების (EBIT)⁸ შეფარდებით სესხის ყოველთვიურ გადასახადთან (PMT), ანუ EBIT/PMT.

$$\frac{\text{სესხის მომსახურების კოეფიციენტი}}{=} = \frac{\text{ყოველთვიური მოგება (EBIT)}}{\text{სესხის ყოველთვიური გადასახადი (PMT)}}$$

8 EBIT = Earnings Before Interest and Taxes.

აღნიშნულ კოეფიციენტს საფინანსო ორგანიზაციები იყენებენ იმისთვის, რომ განსაზღვრონ ბიზნესის გადახდისუნარიანობა, კერძოდ, აქვს თუ არა ბიზნესს საკმარისი წმინდა შემოსავალი საკრედიტო ვალდებულების დასაფარად.

თუ ამ კოეფიციენტის დათვლის შედეგად მიღებული მაჩვენებელი 1,3-ზე ნაკლებია, ეს ნიშნავს იმას, რომ ბიზნესს შემოთავაზებული პირობებით გაუჭირდება მოცემული სესხის ყოველთვიური შენატანის დაფარვა. მარტივად რომ ვთქვათ, რაც უფრო დაბალია კოეფიციენტი, მით უფრო ნაკლებია ბიზნესში დარჩენილი თანხა. შენატანი შესაძლებელია შემცირდეს სესხის ვადის გაზრდით ან სესხის ძირითადი თანხის შემცირებით, თუმცა **გასათვალისწინებელია**, რომ ეს ცვლილებები უნდა შეესაბამებოდეს სესხის მიზნობრიობას, ბიზნესის სპეციფიკასა და ფინანსური ორგანიზაციების შეთავაზებებს.



მაგალითი

	თვე 1	თვე 2	თვე 3	საშუალო მაჩვენებელი (3 თვე)
A – მოგება საპროცენტო ხარჯამდე და მოგების გადასახადებამდე	1500	600	1050	3150
B – სესხის გადასახადი PMT	750	750	750	2250
სესხის მომსახურების კოეფიციენტი (A/B)	2	0.8	1.4	1.4

სესხის მომსახურების კოეფიციენტი, როგორც წესი, ყოველთვიური მონაცემების საფუძველზე გამოითვლება. ამ კოეფიციენტის განსაზღვრა თავად მენარმესაც მარტივად შეუძლია, რაც მას დაეხმარება წინასწარ შეაფასოს ბიზნესის უნარი მოემსახუროს სესხს.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი

– ეს კოეფიციენტი გვიჩვენებს, საკმარისია თუ არა ბიზნესის ისეთი აქტივი, რომლის სწრაფად გარდაქმნა ფულად მარტივია, იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში და-

იხარჯოს მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებების დასაფარად. რაც უფრო ძნელია აქტივის გადაქცევა ფულად, მით ნაკლებად ლიკვიდურია ის.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი}}{=} \frac{\text{მიმდინარე აქტივები}}{\text{მიმდინარე ვალდებულებები}}$$

მიღებულია, რომ მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1-ზე ნაკლები, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას, სულ მცირე, უნდა ჰქონდეს საკმარისი მოკლევადიანი აქტივები (სახსრები) იმისთვის, რომ გაისტუმროს მოკლევადიანი ვალდებულებები და არ დასჭირდეს დამატებით სესხის აღება.

მაგალითი



თქვენ აქტივის სახით ფლობთ:

- ნაღდი ფული – 25 000 ლ;
- დებიტორული მოთხოვნა – 54 000 ლ;
- საქონლის მარაგი – 30 000 ლ;
- სულ მიმდინარე აქტივები = 109 000 ლ.

ამასთან, თქვენ გაქვთ ვალდებულებები:

- ვალდებულება მომწოდებლებთან – 28 000 ლ;
- საბანკო ოვერდრაფტი – 40 000 ლ;
- სულ მიმდინარე ვალდებულება = 68 000 ლ.

ამ მაგალითში, მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი: $109\,000 / 68\,000 = 1,6$, რაც მისაღები მაჩვენებელია: საჭიროების შემთხვევაში ბიზნესს აქვს შესაძლებლობა აიღოს დამატებითი ვალდებულება.

მაგრამ, თუ მომწოდებლებთან ვალდებულება 200 000 ლარია, მაშინ ასეთი შედეგი გვექნება: $109\,000 / 240\,000 = 0,44$. ეს ნიშნავს იმას, რომ მომწოდებლის მიერ თანხის მოკლე ვადაში დაბრუნების მოთხოვნის შემთხვევაში, ბიზნესი ვერ შეძლებს ამ ვალდებულების დაფარვას, თუნდაც მთლიანად გაყიდოს საქონლის მარაგი და სრულად მიიღოს შესაბამისი თანხა.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი – ეს კოეფიციენტი განსაზღვრავს, თუ რა მოცულობის ვალდებულების აღების/დამატების საშუალება აქვს ბიზნესს ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ პრობლემებს საკუთარი კაპიტალით გაუმკლავდეს.

ეს კოეფიციენტი შემდეგი ფარდობით გამოითვლება:

$$\frac{\text{ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი}}{=} \frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{მთლიანი აქტივები}}$$

აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ამ კოეფიციენტის საყოველთაოდ აღიარებული, სტანდარტული მაჩვენებელი და ის დამოკიდებულია ბიზნესის სექტორზე; თუმცა რეკომენდებულია, რომ ეს კოეფიციენტი 30%-ზე ნაკლები არ იყოს. ამავდროულად, **გასათვალისწინებელია**, რომ რაც უფრო მაღალია ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი, მით უკეთესად ფინანსდება აქტივები საკუთარი კაპიტალით.

მაგალითი



თქვენ ფლობთ აქტივებს 24 000 ლარის ოდენობით, გაქვთ ვალდებულება – 14 000 ლ და თქვენი კაპიტალია – 10 000 ლ. $10\,000 / 24\,000 = 0,42$ – ანუ ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი ამ შემთხვევაში იქნება 42%.

თუ თქვენ დამატებით აიღებთ სესხს 10 000 ლარის ოდენობით, მაშინ აქტივები გაიზრდება და 34 000 ლარს შეადგენს. ამასთან, გაიზრდება ვალდებულებები და 24 000 ლარს გაუტოლდება. კაპიტალი დარჩება უცვლელი და ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი იქნება: $10\,000 / 34\,000 = 0,29$, ანუ 29%. ეს შედეგი შეიძლება არ იყოს მისაღები ფინანსური ინსტიტუტისთვის და მან მოგთხოვით სესხის შემცირება ან კაპიტალის გაზრდა.

ფინანსური ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანია ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტის განსაზღვრა, რადგან ის გვიჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია ბიზნესს საკუთარი კაპიტალის ხარჯზე გაუმკლავდეს ფინანსურ პრობლემებს ისე, რომ არ შეექმნას დაბრკოლება სასესხო ვალდებულების დაფარვისას.

საფინანსო ინსტიტუტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია



მას შემდეგ, რაც მენარმე გადაწყვეტს, რომ საქმიანობისთვის სჭირდება სესხი და ამ მიზნით მიმართავს ფინანსურ ინსტიტუტს, სესხის გაცემამდე ფინანსური ინსტიტუტი მოითხოვს დეტალურ ინფორმაციას ბიზნესის შესახებ, რათა შეძლოს მისი შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

თუ მენარმე ახლა იწყებს ბიზნეს-საქმიანობას, უპირველეს ყოვლისა, იგი უნდა დარეგისტრირდეს მენარმე სუბიექტად. მენარმე სუბიექტის პასუხისმგებლობისა და დაბეგვრის ფორმა განსხვავდება მისი სტატუსიდან გამომდინარე. სტატუსის შესარჩევად მნიშვნელოვანია მენარმემ გაითვალისწინოს ბიზნესის ტიპი და მასშტაბი (ბრუნვა, დაქირავებული თანამშრომლების რაოდენობა და ა.შ.) მენარმეს შეუძლია საქმიანობის შესაბამისად აირჩიოს ინდივიდუალური ბიზნესფორმა (ინდივიდუალური მენარმე სპეციალური დაბეგვრის რეჟიმით: მიკრო-, მცირე, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი) ან ჯგუფური ბიზნესის ფორმებიდან ერთ-ერთი (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი და სხვა). ეს ფორმები ერთმანეთისგან განსხვავდება შინაარსით, ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობებით. ბიზნესსტატუსებსა და ფორმებთან დაკავშირებით ინფორმაცია წარმოდგენილია კანონში მენარმეთა შესახებ (www.matsne.gov.ge) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge).

საქართველოში ბიზნესის დარეგისტრირება მარტივი პროცედურაა და ამისთვის ერთი დღეც საკმარისია – საჭიროა მხოლოდ მენარმე სუბიექტის ფორმის განსაზღვრა. მენარმე სუბიექტის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (www.napr.gov.ge).

დარეგისტრირების შემდეგ მენარმეს შეუძლია ფინანსურ ინსტიტუტს წარუდგინოს ამონაწერი სამენარმეო რეესტრიდან.

ეკონომიკური სექტორი რეესტრიდან

ეს არის დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ბიზნესის სამენარმეო ფორმის, დასახელების, საიდენტიფიკაციო ნომრისა და რეგისტრაციის თარიღის, ლიკვიდაციის/რეორგანიზაციის/გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ; ასევე ცნობები ხელმძღვანელების/წარმომადგენლებისა და მესაკუთრეების შესახებ, მათ მფლობელობაში არსებული წილების მითითებით. ამას გარდა, ამონაწერში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის ვალდებულებების (გირავნობა, იპოთეკა, ყადაღა) შესახებ. ამონაწერის მიღება შესაძლებელია როგორც ელექტრონულად, ვებგვერდიდან, www.reestri.gov.ge ისე ფიზიკურად, იუსტიციის სახლის წარმომადგენლობასთან მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ინფორმაციის მიღება არის უფასო, ხოლო განახლებული ინფორმაციის მიღება/ამონაწერის მომზადება ფასიანი მომსახურებაა.

დამწყები ბიზნესის შემთხვევაში ფინანსურმა ინსტიტუტმა შესაძლოა მოითხოვოს ბიზნესგეგმა, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას ბიზნესის საქმიანობისა და მისი მართვის შესახებ, ასევე ფინანსურ უწყისებს (მოგება-ზარალის უწყისი, ნაღდი ფულის მოძრაობის უწყისი, საბალანსო უწყისი). ფინანსური ორგანიზაცია დაითვლის ფინანსურ კოეფიციენტებს (იხ. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბიზნესის შეფასების კრიტერიუმები და კოეფიციენტები) და ამ და სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღებს გადაწყვეტილებას სესხის გაცემის თაობაზე.

ბიზნესგეგმა

ბიზნესგეგმა არის დოკუმენტი, რომელსაც მენარმეები ადგენენ ბიზნესის წამოწყების ან მისი გაფართოების დროს. მისი მთავარი ფუნქციაა შეფასდეს ბიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეები და გააცნოს პოტენციურ დამფინანსებლებს ბიზნესის საქმიანობის არეალი. ბიზნესგეგმაში აღწერილი უნდა იყოს მომავალი საქმიანობის ყველა ძირითადი ასპექტი, ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და ამ მიზნების მიღწევის გზები.

გასათვალისწინებელია, რომ ეს დოკუმენტი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ პოტენციურმა დამფინანსებელმა შეძლოს ბიზნესის შესაძლებლობებისა და საჭირო რესურსის შეფასება.

ბიზნესგეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგ ძირითად სექციებს:

მოკლე მიმოხილვა – მთავარი იდეა

მოკლე მიმოხილვა არის ბიზნესგეგმის შეჯამება, რომელიც იწერება ბიზნესგეგმის დასრულებისას, მაგრამ წარმოდგენილია ბიზნესგეგმის საწყის გვერდზე. მოკლე მიმოხილვით მკითხველი ეცნობა ბიზნესის ზოგად ტიპს და ძირითად ინფორმაციას მის კონკურენტულ უპირატესობებზე. აქვე წარმოდგენილია შეჯამებული ფინანსური მაჩვენებლები: რა თანხაა საჭირო ბიზნესის დასაწყებად, რამდენია მფლობელებისა და დამფინანსებლების წილი და რა მიზნით დაიხარჯება ეს თანხები.

მართვა და ორგანიზება

ამ ნაწილში იწერება, თუ რომელი ბიზნესის ფორმით არის დარეგისტრირებული მენარმე; ვინ არიან ბიზნესის მფლობელები, მმართველები, რა გამოცდილება და ცოდნა აქვთ მათ; როგორი ორგანიზაციული სტრუქტურა აქვს ბიზნესს; ვინ არიან დასაქმებულები და რა ფორმით მოხდება მათი შრომის ანაზღაურება. აქვე იწერება ბიზნესის მიზნები: რისი მიღწევა სურს ბიზნესს უახლოეს მომავალში ან გრძელვადიან პერიოდში.

პროდუქტი და მომსახურება

ამ ნაწილში დეტალურად განიხილება/აღწერება პროდუქტი ან მომსახურება, მისი მახასიათებლები და კონკურენტებთან შედარებით არსებული უპირატესობები. საჭიროების შემთხვევაში, მიეთითება ინფორმაცია პროდუქტისთვის ან მომსახურებისთვის საჭირო პატენტის, სავაჭრო ნიშნების ან ლიცენზიის შესახებ.

წარმოების გეგმა

წარმოების გეგმა მნიშვნელოვანია, რადგან ის აღწერს ბიზნესის საქმიანობას ნედლეულის შექმნიდან საბოლოო პროდუქციის მიღებამდე. წარმოების გეგმიდან ჩანს, თუ რა მოცულობისაა ბიზნესი, არის თუ არა სეზონური და აქვს თუ არა წარმოების განსაკუთრებული ტექნოლოგია. წარმოების პროცესის აღწერისას გამოიყოფა მასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც ფინანსური გეგმის ნაწილია და მენარმეს დაეხმარება პროდუქციის თვითღირებულების დათვლაში. აქვე უნდა ჩანდეს, თუ რა ქონებას ან დანადგარებს ფლობს ბიზნესი, ან რა დანადგარები სჭირდება დამატებითი საქმიანობის განსახორციელებლად, ასევე რისი შესყიდვა სურს მენარმეს საკუთარი სახსრებით და რის შექმნას ფიქრობს და ფინანსებით (სესხით).

მარკეტინგული გეგმა

მარკეტინგულ გეგმაში იწერება კონკურენტების ანალიზი, კერძოდ, ვინ არიან ბიზნესის კონკურენტები და როგორი პროდუქტები და ფასები აქვთ მათ. ბიზნესმა ასევე უნდა გააანალიზოს, არის თუ არა მისი საქმიანობა სეზონური და წლის რომელი მონაკვეთია მისთვის აქტიური პერიოდი. მარკეტინგულ გეგმაში იწერება ინფორმაცია ფასდადების, პროდუქციის გაყიდვების არეალის, მომხმარებლებისა და მათი მახასიათებლების, ასევე მარკეტინგული აქტივობების შესახებ (ფლაერები, ბროშურები, პოსტერები/სტიკერები, ბილბორდები და ბანერები, სარეკლამო, სატელევიზიო და სოციალური მედიის რეკლამები და სხვ.).

ფინანსური გეგმა

ფინანსური გეგმა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ (იხ. მოგება-ზარალის უწყისი), ასევე დაფინანსების ბიუჯეტის შესახებ: ჯგამში, რა ოდენობის თანხაა საჭირო ბიზნესის წამოსაწყებად/განვითარებისთვის; რა ოდენობისაა ბიზნესის საკუთარი ინვესტიცია და რამდენს ითხოვს ის სესხის სახით; რის შექმნას ფიქრობს ბიზნესის მფლობელი არსებული ბიუჯეტით და რა ვადაში მოახდენს თანხის ათვისებას – ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რომელსაც სესხის გამცემი ორგანიზაცია ბიზნესისგან მოითხოვს.

გასათვალისწინებელია, რომ ბიზნესგეგმა, უპირველეს ყოვლისა, თვითონ ბიზნესის მფლობელისთვის არის მნიშვნელოვანი, რათა მან წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი მოგების ოდენობა და გეგმის განხორციელების პროცესში შეადაროს, თუ რამდენად მიჰყვება ბიზნესი დაგეგმილ მაჩვენებლებს.

მოგება-ზარალის უწყისი

მოგება-ზარალის უწყისში დეტალურად აისახება ბიზნესის შემოსავლები და ხარჯები. ამ უწყისში პირველ პუნქტად მოცემულია გაყიდვებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ, გარკვეულ შემთხვევაში, ბიზნესს შეიძლება ჰქონდეს დაბრუნებული პროდუქტი, რაც შემოსავლებს უნდა გამოაკლდეს. დაბრუნებული პროდუქტი – ეს არის მომხმარებლის მიერ შესყიდული, მაგრამ წუნის ან სხვა ობიექტური გარემოებების გამო ბიზნესისთვის უკან დაბრუნებული პროდუქტი.



თუ ბიზნესისგან შეისყიდეთ 5 ტონა პომიდორი, საიდანაც 500 კილოგრამი დაზიანებული (მაგ., ლუბობის პროცესში) აღმოჩნდა, მიღველს, წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, შეუძლია აღნიშნული 500 კილოგრამი პომიდორის დაბრუნება. ბიზნესი შემოსავლად 5 ტონას აღრიცხავს, თუმცა დაბრუნებულ პროდუქტს (500 კგ) მთლიან შემოსავალს გამოაკლებს.

ამის შემდგომ, მოგება-ზარალის უწყისში შემოსავალს გაყიდული პროდუქტის თვითღირებულება გამოაკლდება. პროდუქტის თვითღირებულება მნიშვნელოვანი ხარჯია და მისი სწორად დათვლა ბიზნესის წარმატების უმთავრესი წინაპირობაა. წარმოებული პროდუქტის თვითღირებულება განისაზღვრება მის საწარმოებლად გაწეული დანახარჯების ჯამით. სხვა სიტყვებით, თვითღირებულება – ეს არის ყველა იმ ხარჯის ჯამი, რომელიც საჭიროა პროდუქტის შესაქმნელად, და მასში შედის როგორც მასალის, ისე მისი ტრანსპორტირების/შენახვის ხარჯები, ასევე, უშუალოდ პროდუქტის/მომსახურების შექმნაში მონაწილე პერსონალის ხელფასები.



თუ ხართ წიგნების გამომცემელი, გაყიდული საქონლის თვითღირებულება შეიძლება მოიცავდეს ქალაქისა და ბეჭდვის ხარჯებს ან მწერლისთვის გადახდილ თანხას, ასევე ბეჭდვაში ჩართული პერსონალის ხელფასებსა და კომუნალურ დანახარჯს (რომელიც, მაგალითად, საბეჭდი მანქანის მუშაობას მოხმარდა). თვითღირებულებაში არ შედის ადმინისტრაციული და მარკეტინგული ხარჯები, როგორცაა: დირექტორის ან დამლაგებლის ხელფასი, ასევე უკვე გამზადებული პროდუქტის ტრანსპორტირების ან მისი რეკლამისთვის გაწეული ხარჯი. აღნიშნული ხარჯების გათვალისწინება არ ხდება თვითღირებულებაში, თუმცა ისინი შესულია მოგება-ზარალის უწყისში.

საწარმოო დანახარჯები, რაც თვითღირებულების გამოთვლისას გამოიანგარიშება, შემდეგი ძირითადი ელემენტებისაგან შედგება:

- **მოსმარებული ნედლეული/პირდაპირი მასალა** – მზა პროდუქტის წარმოებისათვის მოხმარებული მასალების, ნაკეთობებისა და სხვა ელემენტების ღირებულება (თვითღირებულება).
- **პირდაპირი შრომა** – უშუალოდ პროდუქტის საწარმოებლად დასაქმებულ პირთა ხელფასების ჯამი.
- **საწარმოო ზედნადები დანახარჯები** – საწარმოო მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების, ასევე საწარმოო შენობის დანახარჯები (ცვეთა, დაზღვევა, რემონტი, სათადარიგო ნაწილების ხარჯი, საცხებ-საპოხი და სხვ.).

გარდა დაბრუნებული პროდუქტისა და თვითღირებულებისა, შემოსავალს ასევე აკლდება არასაწარმოო ხარჯები. არასაწარმოო ხარჯებში შედის კომპანიის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები, ანუ ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯები, რომლებიც გაყიდვებთან, მარკეტინგთან და ადმინისტრაციულ საქმიანობასთანაა დაკავშირებული, მათ შორის, იმ პერსონალის შრომის ანაზღაურება, რომელიც უშუალოდ არ ქმნის პროდუქტს და რომელსაც არ ევალება მომსახურება.

შემოსავლისა და ყველა ხარჯის გამოკლებით მიიღება მოგება დაბეგვრამდე, ანუ **დასაბეგრი მოგება**. თუ ბიზნესი იხდის გადასახადებს, მაშინ მოგებას გადასახადის მოცულობა უნდა გამოაკლდეს დაბეგვრამდე (გადასახადის გადახდამდე),

რის შემდეგაც მიიღება წმინდა მოგება. დამწყები მენარმეები ბიზნესგეგმაში მოცემულ მოგება-ზა-

რალის უწყისს დაეგემილი (სამომავლო) სავარაუ-
ლო მონაცემებით ავსებენ.

მოგება-ზარალის უწყისი
შემოსავლები:
მთლიანი გაყიდვები
უკან დაბრუნებული გაყიდული საქონელი
წმინდა გაყიდვები
ხარჯები:
გაყიდული საქონლის თვითღირებულება
ადმინისტრაციული ხელფასების ხარჯი
ტრანსპორტირების ხარჯი
იჯარა/ქირა
მარკეტინგული ხარჯები
კომუნალური ხარჯი (ადმინისტრაციული)
საოფისე ხარჯი
საბანკო მომსახურების ხარჯი
დაზღვევა
ქონების გადასახადი
რემონტი
ცვეთა (იხ. ლექსიკონი)
სხვა ხარჯი
მოგება საპროცენტო ხარჯამდე და მოგების გადასახადებამდე (EBIT):
სესხის გადასახადი – საპროცენტო ხარჯი
მოგება გადასახადებამდე:
მოგების გადასახადი
წმინდა მოგება (ზარალი)

შენიშვნა



გასათვალისწინებელია, რომ მოგება-ზარალის უწყისში, როგორც შემოსავლების, ისე ხარჯების ნაწილში არ აისახება სესხის ძირითადი თანხა; ხარჯების ნაწილში მხოლოდ სესხზე გადასახდელი პროცენტის თანხას აღვრიცხავთ. აღებული სესხის ძირითადი თანხა (ან სხვა ნებისმიერი ვალი) საბალანსო უწყისშია ასახული (იხ. საბალანსო უწყისი).

საბალანსო უწყისი

საბალანსო უწყისი (იგივე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება) არის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც გვიჩვენებს, თუ რას ფლობს კომპანია, და რამდენს შეადგენს მისი ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი კონკრეტული თარიღისთვის. საბალანსო უწყისი მოცემული მომენტისთვის კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ასახავს.

შენიშვნა



საბალანსო უწყისში აქტივები ვალდებულებებისა და კაპიტალის ჯამს უდრის.

აქტივი არის ნებისმიერი ფასეულობა, რომელსაც კომპანია ფლობს ან სხვებს მართებთ კომპანიის მიმართ. სხვა სიტყვებით, აქტივი – ეს არის კომპანიის სახელზე არსებული ქონება, მათ შორის: ნაღდი ფული, ფული საბანკო

ანგარიშზე, უძრავი და მოძრავი ქონება, მარაგები, მზა პროდუქცია და სხვ. აქტივები ორ ტიპად იყოფა:

- **მიმდინარე აქტივები** – აქტივები, რომლებიც 1 წელიწადზე ნაკლებ ვადაში იხარჯება. ამ ტიპის აქტივებს მიეკუთვნება საბრუნავი საშუალებები, ასევე მომხმარებლებისგან მისაღები თანხები, რაიმე მომსახურებისთვის (მაგ., იჯარისთვის, დაზღვევისთვის, რეკლამისთვის) წინასწარ გადახდილი თანხები და სხვ.
- **გრძელვადიანი აქტივები** – აქტივები, რომლებიც ბიზნესში 1 წელიწადზე მეტი ვადით გამოიყენება. ამ ტიპის აქტივებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები: მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები, მიწა და სხვა.

ვალდებულება არის ის, რაც კომპანიას ეკისრება სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირის მიმართ. თავის მხრივ, ვალდებულებებიც ორ ტიპად იყოფა:

- **მიმდინარე ვალდებულება** – კომპანიის ვალდებულება, რომელიც 1 წლის განმავლობაშია დასაფარი. მიმდინარე ვალდებულებები შეიძლება მოიცავდეს მომწოდებლისთვის გადასახდელ თანხას, მოკლევადიან სესხს, ავანსად მიღებულ თანხას და სხვ.
- **გრძელვადიანი ვალდებულება** – კომპანიის ვალდებულება, რომლის დაფარვის ვადაც ერთ წელზე მეტია; ამ ტიპის ვალდებულების მაგალითია საინვესტიციო/გრძელვადიანი სესხი.

კაპიტალი არის მფლობელების მიერ ბიზნესში ინვესტირებული ფული ან ქონება. კაპიტალი კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობის ტოლია. საკუთარი კაპიტალი ორი საშუალებით იზრდება: მფლობელის მხრიდან დამატებითი ინვესტიციის განხორციელებით ან გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც დივიდენდის გაცემის შემდეგ კომპანიაში დარჩენილ მოგებას წარმოადგენს.

აქტივები	
მიმდინარე აქტივები:	
ნაღდი ფული	3,000.00
ფული საბანკო ანგარიშზე	7,200.00
დებიტორული დავალიანება (კლიენტებისგან მისაღები თანხები)	900.00
სასაქონლო მარაგი/ნედლეული	13,000.00
წინასწარ გაწეული ხარჯები (წინასწარ გადახდილი იჯარა, რეკლამა, დაზღვევა და სხვ.)	2,000.00
სხვა მისაღები თანხები	0.00
მთლიანი მიმდინარე აქტივები	26,100.00
გრძელვადიანი აქტივები	
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	5,000.00
მოწყობილობა და დანადგარები	15,000.00
სატრანსპორტო საშუალებები	30,000.00
უძრავი ქონება	80,000.00
მიწა	65,000.00
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები	195,000.00
არამატერიალური აქტივები:	
ლიცენზია და პატენტი	0.00
მთლიანი არამატერიალური აქტივები	0.00
მთლიანი აქტივები	221,100.00



ვალდებულებები	
მიმდინარე ვალდებულებები:	
კრედიტორული დავალიანება (მომწოდებლებისთვის გადასახდელი თანხები)	2,500.00
გადასახდელი ხარჯები (ხელფასები, იჯარა, დაზღვევა, კომუნალური გადასახადები და სხვ.)	500.00
ავანსად მიღებული შემოსავლები	11,100.00
მოკლევადიანი სესხები	0.00
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	14,100.00
გრძელვადიანი ვალდებულებები:	
გრძელვადიანი სესხები	135,000.00
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0.00
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები	135,000.00
მთლიანი ვალდებულებები	149,100.00
კაპიტალი	
კაპიტალი:	
საკუთარი კაპიტალი	25,000.00
გაუნაწილებელი მოგება (მოგების და დივიდენდის სხვაობა)	47,000.00
მთლიანი კაპიტალი	72,000.00
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	221,100.00



შენიშვნა



გაუნაწილებელი მოგება ის თანხაა, რომელიც ბიზნესს წმინდა მოგებიდან რეინვესტირებისთვის რჩება მას შემდეგ, რაც ის მფლობელებზე დივიდენდებს⁹ გადაანაწილებს.

გაუნაწილებელი მოგება = წმინდა მოგებას - დივიდენდი

⁹ დივიდენდი – ეს არის ბიზნესის მფლობელების მიერ ბიზნესის წმინდა მოგებიდან მიღებული თანხა.

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი ფინანსური ანგარიშგების ფორმაა, რომლის მიზანსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში სანარმოო ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციის ჩვენება წარმოადგენს.

დამფინანსებლებს ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი აინტერესებთ იმისთვის, რომ დაინახონ, თუ რამდენად შესწევს ბიზნესს უნარი, გამოიმუშაოს თავისუფალი ფული. სანარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა.

მაგალითი



თქვენ შეიძლება მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით გქონდეთ გარკვეული მოგება, თუმცა რეალურად აღმოჩნდეს, რომ მითითებული ოდენობის თანხა ბიზნესიდან არ დაგრჩენიათ, რადგან მოგება-ზარალის უწყისში შემოსავალში გათვალისწინებულია ისეთი თანხები, რომელთა მიღებას ჯერ კიდევ ელოდებით (მაგალითად, დებიტორული დავალიანება, ანუ კლიენტებისგან მისაღები ფული); ან, პირიქით, რეალურად გქონდეთ მეტი თანხა, მაგრამ, მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით, მოგება ნაკლები იყოს. აღნიშნულს იწვევს ისეთი ხარჯები, რომლებიც, მოგება-ზარალის უწყისის მიხედვით, მოგებას ამცირებს, მაგრამ მათ სანაცვლოდ თანხა ჯერ არ გადაგიხდიათ (მაგალითად, გადასახდელი ხარჯები: დაზღვევა, იჯარა და სხვ.).

შემოსავლებისა და ხარჯების დაეკლარაციული დოკუმენტაცია

ბიზნესის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ფინანსური ინსტიტუტი ამომწებს მენარმის გადახდისუნარიანობას. ამ მიზნით ის ბიზნესთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფაქტორს ითვალისწინებს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ბიზნესის ყოველთვიური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და განეული ხარჯების სრულყოფილი ანალიზია. იმისთვის, რომ ფინანსურმა

ინსტიტუტმა გააანალიზოს შემოსავლები და ხარჯები, ბიზნესის მფლობელს სხვადასხვა ფინანსური დოკუმენტის წარდგენა მოუწევს.

ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღება ოფიციალურ და არაოფიციალურ ფინანსურ უწყისებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი.

ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო შემოსავლების სამსახურის ელექტრონული გვერდია (www.rs.ge), სადაც ნებისმიერ მენარმეს შეუძლია დარეგისტრირდეს ბიზნესსუბიექტად. რეგისტრაციისას მას ენიჭება სისტემაში შესასვლელი უნიკალური სახელი და პაროლი. შესაბამისად, თითოეულ მენარმეს ინდივიდუალური ელექტრონული გვერდი აქვს (www.eservices.rs.ge).



ინფორმაციის მიღების წყაროები:

მოგების დეკლარაცია – იძლევა ინფორმაციას საანგარიშო წლის განმავლობაში ბიზნესსაქმიანობიდან მიღებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის მენარმის პირად გვერდზე (www.rs.ge). ინდივიდუალურ (მათ შორის, მიკრო- და მცირე) მენარმედ რეგისტრაციის შემთხვევაში მოგების დეკლარაცია ივსება წელიწადში ერთხელ და ის მოიცავს ბიზნესის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას კონკრეტული წლის 1 იანვრიდან – 31 დეკემბრის ჩათვლით. ჯგუფური ბიზნესის შემთხვევაში ეს დეკლარაცია ივსება ყოველთვიურად.

დღგ დეკლარაცია – იძლევა ინფორმაციას საანგარიშო პერიოდში გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ)

შესახებ. ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე (www.rs.ge).

საბანკო ანგარიშის ამონაწერი – სესხის გაცემამდე ფინანსური ინსტიტუტი მოითხოვს მენარმის ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციების დამადასტურებელ საბანკო ამონაწერს. როგორც წესი, მოითხოვება ბოლომდე თვის ინფორმაცია. საბანკო ამონაწერში მოცემულია დეტალური ინფორმაცია ბიზნესის კონკრეტულ ანგარიშზე/ანგარიშიდან განხორციელებული ოპერაციების შესახებ, კერძოდ: როდის, საიდან და რა თანხა მიიღო ბიზნესმა ანგარიშზე და ასევე, რა თანხა გადაიხადა მან. ამონაწერში, როგორც წესი, მითითებულია მიღებული/გახარჯული თანხის კონკრეტული დანიშნულება.

ინფორმაცია საბუღალტრო პროგრამებიდან – კომპანიები და მათი ბუღალტრები ფინანსურ აღრიცხვას, ხშირ შემთხვევაში, ახორციელებენ სხვადასხვა ბუღალტრული პროგრამის გამოყენებით, რომელშიც ასახულია საქმიანობასთან დაკავშირებული დეტალები. მისი საშუალებით ადვილია შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღება და დამუშავება. შესაბამისად, ფინანსური ინსტიტუტისთვის მნიშვნელოვანია ამ პროგრამებიდან მიღებული ინფორმაცია.

ზედნაღები – დოკუმენტი, რომელიც იწერება კომპანიის სახელზე საქონლის ყიდვის და/ან მისი ტრანსპორტირების დროს. ის წარმოადგენს აღრიცხვის დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს ქვეყნის შიგნით საქონლის მიწოდების ფაქტს და რომლის გარეშეც აკრძალულია საქონლის ტრანსპორტირება, შენახვა და რეალიზაცია. ზედნაღები მზადდება შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში და მისი მიღება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე, მენარმის პროფილზე, ანუ პირად გვერდზე (მას შემდეგ, რაც გამოყიდველი მხარე გადმოაგზავნის დოკუმენტს). გასათვალისწინებელია, რომ, როდესაც შესყიდვა ხდება ბიზნესსაქმიანობისთვის, გამოყიდველ მხარეს მენარმემ თავიდანვე უნდა მოსთხოვოს ზედნაღები დოკუმენტი, თავის მხრივ კი მიაწოდოს მას ბიზნესის რეკვიზიტები.

საგადასახადო ანგარიშფაქტურა – დოკუმენტი, რომელსაც ადგენს ერთი მხარე მეორისთვის საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების განწევისას, თუ ორივე მხარე დღგ-ის გადამხდელი კომპანიაა.

შესყიდვის აქტი – დოკუმენტი, რომლითაც გამოყიდველი და მყიდველი ხელმოწერით ადასტურებენ ნივთის გადაცემასა და თანხის მიღებას.

ყოველთვიური საშემოსავლო დეკლარაცია – დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია თვის განმავლობაში თანამშრომლებისთვის გაცემული ხელფასების შესახებ.

განაცემთა შესახებ ინფორმაცია – ინფორმაცია ისეთი გადახდების შესახებ, რომლებიც დაბეგრულია საშემოსავლო გადასახადით, მაგ., ხელფასები, დივიდენდები და სხვ. საშემოსავლო დეკლარაციისგან განსხვავებით, ამ ფორმაში მითითებულია დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულად ვინ მიიღო შემოსავალი, ხელფასის, დივიდენდის თუ მომსახურების სახით. მაგალითად, X პირმა, პირადი მონაცემების მითითებით, დეკემბრის თვეში ხელფასის სახით აიღო 1000 ლარი, რომელზეც დაერიცხა საშემოსავლო გადასახადი 250 ლარის ოდენობით. საშემოსავლო დეკლარაციაში პირის პირადი მონაცემები არ აისახება, მაგრამ მიეთითება თითოეული განაცემის კონკრეტული თარიღი, მაგ., 7 დეკემბერი.

გასათვალისწინებელია, რომ საშემოსავლო დეკლარაციისა და განაცემთა შესახებ ინფორმაციის ჯამური მონაცემები თვის წრილში უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ინფორმაცია

მიკრო- და მცირე მენარმეები ზემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებსა და პროგრამებს შეიძლება არ იყენებდნენ. ასეთ დროს ძალიან მნიშვნელოვანია მენარმეს ჰქონდეს ჩანაწერები, რომლებზე დაყრდნობითაც ფინანსური ორგანიზაცია თავად შექმნის ფინანსურ დოკუმენტებს, დაითვლის კოეფიციენტებს და შეფასების იმავე მექანიზმით განიხილავს სესხის განაცხადს.



მენარმის ჩანაწერები – მენარმებს ხშირად აქვთ ბიზნესის ჩანაწერები – ე. წ. „ჟურნალი“ – რომელშიც ასახულია სხვადასხვა ფინანსური ინფორმაცია, რაც ზემოთ მოცემული დოკუმენტაციით შესაძლოა დადასტურებული არ იყოს. მიკრომენარმე, რომელსაც სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება არ აქვს, ინფორმაციას გაყიდული საქონლის ან განუვლი მომსახურების შესახებ შესაძლებელია პირად ჟურნალში ასახავდეს და, შესაბამისად, ის ვერ წარმოადგენს შემოსავლის დამადასტურებელ დოკუმენტებს (ქვითარი, ზედნაღები, ანგარიშფაქტურა და სხვ.). მაგალითად, მექანიზატორს შეუძლია ჟურნალში შეიტანოს დეტალური ინფორმაცია, თუ ვის გაუნია მინის დამუშავების მომსახურება (სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, დამუშავებული მინის ფართობი, ღირებულება). ფინანსური ორგანიზაცია, თავის მხრივ, გადაამოწმებს ამ ინფორმაციას და გამოიყენებს მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დამფინანსებლისთვის ასევე მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ფლობს ბიზნესი და რა ვალდებულებები აქვს მას მიმდინარე პერიოდში.

აქტივებთან დაკავშირებული ინფორმაცია – ბიზნესის სახელზე არსებული ქონების დასადასტურებლად მენარმეს შეუძლია წარადგინოს საბალანსო უწყისი, აქტივების შექმნის ქვითრები: საგადასახადო დავალებები, ზედნაღები, მიღება-ჩაბარების აქტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ბიზნესის სახელზე არსებული უძრავი ქონების შემთხვევაში) და შესყიდვის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტაცია. მის აქტივს ასევე შეადგენს თანხა, რომელიც კლიენტებს მართებთ ბიზნესის მიმართ. ამის დასადასტურებლად მენარმემ უნდა წარადგინოს შედარების აქტი, რომელშიც ასახულია დებიტორებისაგან მისაღები თანხის მოცულობა.

ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია – მოიცავს ყველა ვალდებულებას, რომლებიც ბიზნესს აქვს, მათ შორის, სესხი

ფინანსურ ინსტიტუტში, მომწოდებლებისთვის გასასტუმრებელი თანხა ან სხვა ნებისმიერი სახის ვალი. ასეთი ვალდებულებების არსებობის შემთხვევაში, მენარმეს მოეთხოვება წარმოადგინოს საკრედიტო ხელშეკრულება ფინანსური ინსტიტუტიდან, რომელშიც აქვს სესხი, ან ცნობა დავალიანების შესახებ, რათა დადგინდეს მოცემულ დროს არსებული დავალიანების ზუსტი ოდენობა; ხოლო მომწოდებლებთან, დავალიანების შემთხვევაში, მენარმემ უნდა წარადგინოს შედარების აქტი.

საფინანსო ორგანიზაცია ყველა ზემოაღნიშნულ ინფორმაციას ითხოვს იმისთვის, რომ სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნას, თუ რამდენად რეალურია ბიზნესის გეგმები და შეძლებს თუ არა ბიზნესი განსაზღვრული გრაფიკით არსებული ვალდებულებების დაფარვას. ამ და სხვა ზემოხსენებულ ფაქტორებზე დაყრდნობით ფინანსური ინსტიტუტი იღებს გადაწყვეტილებას გასაცემი სესხის ოდენობასთან და ვადასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი



მნიშვნელოვანია, ფინანსურ ორგანიზაციას მიენიშნოს უტყუარი და სრულფასოვანი ინფორმაცია ბიზნესსა და სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით. სრულყოფილი ინფორმაცია მნიშვნელოვანია როგორც დამფინანსებლისთვის სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, ისე ბიზნესის ფინანსური კეთილდღეობისთვის. თუ მენარმე სესხზე დადებითი პასუხის მიღების მოტივით მცდარი ინფორმაციის მიწოდებას ეცდება, ამან შესაძლოა ბიზნესი გარკვეული პერიოდის შემდეგ დააზარალოს და კრედიტის გადახდისუუნარობის საფრთხის წინაშე დააყენოს.

ფინანსური ორგანიზაციისთვის მიწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიზნესის იდეას, ფინანსურ ინფორმაციასა და გეგმებს არ გაანდობს სხვა პირს და არ გამოიყენებს პირადი ინტერესებისათვის.

შპს-ს მენეჯერების ქვეყნის მართვა



სესხის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფინანსური ორგანიზაცია მენარმესთან გააფორმებს ხელშეკრულებას, რომელშიც მოცემული იქნება დეტალური ინფორმაცია სესხის ოდენობის, საპროცენტო განაკვეთის, მხარეების უფლებებისა და ვალდებულებების და სხვა პირობების შესახებ.

შენიშვნა


სანამ ხელშეკრულებას ხელს მოაწერდეთ, სთხოვეთ ფინანსურ ორგანიზაციას, გადმოგცეთ ხელშეკრულების ნიმუში, რომლის პირობებსაც აუცილებლად დანვრილებით უნდა გაეცნოთ. ეს ნიმუში შეგიძლიათ თან წაიღოთ, მშვიდად წაიკითხოთ და, თუ საჭიროდ ჩათვლით, იურისტთანაც განიხილოთ.

ხელშეკრულების წაკითხვისას, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიაქციეთ შემდეგ ინფორმაციას:

- სესხის **თანხა**;
- სესხის **ვადა**;
- სესხის **ვალუტა**;
- საპროცენტო **განაკვეთის ტიპი** (ფიქსირებული თუ ცვლადი);
- **ნომინალური** საპროცენტო განაკვეთი;
- **ფეჟეტური** საპროცენტო განაკვეთი;
- სხვადასხვა **საკომისიო** (მაგ., სესხის გაცემის საკომისიო);
- შესაძლო **ჯარიმები** და **პირგასამტეხლოები**;
- სესხთან დაკავშირებული **სხვა ხარჯები**;
- **პრეტენზიის** დაფიქსირების ფორმები;
- სესხის დაფარვის **გრაფიკი**.

მას შემდეგ, რაც გულდასმით გაეცნობით ხელშეკრულებას, არ მოგერიდოთ შეკითხვების დასმა, თუნდაც, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო საკითხებთან დაკავშირებით და სთხოვეთ ფინანსური ორგანიზაციის თანამშრომელს მოგანოდოთ დეტალური ინფორმაცია:

- რა ინფორმაციას მოიცავს ხელშეკრულების თავსართი?
- რა საკომისიოები ახლავს თან სესხის აღებას?
- სესხის აღება რა ვალუტით არის ჩემი ბიზნესისათვის უფრო ხელსაყრელი და რატომ?
- რა რისკები შეიძლება ახლდეს უცხოური ვალუტით სესხის აღებას?
- შესაძლებელია თუ არა უცხოური ვალუტით აღებული სესხის კონვერტაცია ეროვნულ ვალუტაში?
- რა მოხდება თუ დავარღვევ ხელშეკრულებაში მითითებულ პირობებს, მაგალითად, თუ აღებულ კრედიტს არამიზნობრივად გამოვიყენებ?
- შესაძლებელია თუ არა, რომ სესხი დავფარო წინსწრებით და რა საკომისიო დამეკისრება ამ შემთხვევაში?
- შეიძლება სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო განსხვავებული იყოს იმის მიხედვით, იმავე საფინანსო ინსტიტუტიდან აღებული ახალი სესხით ვფარავ ძველ სესხს თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან აღებული ახალი სესხით?
- რა იყო სესხის მოთხოვნაზე უარყოფითი პასუხის მიზეზი?¹⁰
- შესაძლებელია თუ არა ხელშეკრულებაზე ხელის მონერამდე მოვითხოვო დამტკიცებული სესხის პირობების, მაგალითად, ვადის ან ვალუტის ცვლილება?



¹⁰ თუმცა მსესხებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ფინანსურ ორგანიზაციას არ აქვს სესხის გაცემაზე უარის თქმის მიზეზის განმარტების ვალდებულება.

- საჭიროების შემთხვევაში, შემიძლია თუ არა წარმოვადგინო პრეტენზია ფინანსური ინსტიტუტის მიმართ და რა ვადაში მოხდება ჩემი პრეტენზიის განხილვა?
- სესხის დამტკიცების შემთხვევაში, რა ვადას მომცემს ფინანსური ინსტიტუტი მის ასათვისებლად/გასახარჯად?
- აქვს თუ არა ფინანსურ ინსტიტუტს ყველა ის სასესხო და საოპერაციო პროდუქტი, რომელიც ჩემს ბიზნესს სჭირდება?
- არის თუ არა ფინანსური ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული სასესხო პროდუქტი ყველაზე მეტად მორგებული ჩემი ბიზნესის საჭიროებებზე (მათ შორის, შემოსავლების სეზონურობაზე)? თუ არსებობს სხვა პროდუქტი, რომელიც უკეთესად დააკმაყოფილებდა ჩემი ბიზნესის მოთხოვნებს?
- რა მოცულობის ვალდებულების აღება შემიძლია არსებული ფინანსური მონაცემებისა და წარმოდგენილი უზრუნველყოფის პირობებში?
- სესხის აღების შემდეგ შესაძლებელია, რომ კვლავ მქონდეს კომუნიკაცია ფინანსური ინსტიტუტის წარმომადგენელთან საჭირო კონსულტაციის მიღების მიზნით?
- როგორ უნდა მოვიქცე, თუ ვატყობ, რომ ბიზნესში შექმნილი სირთულეების გამო ვეღარ შევძლებ ფინანსური ინსტიტუტისგან აღებული ვალდებულების წინასწარ შეთანხმებულ ვადებში დაფარვას?
- რა ხარჯებთან არის დაკავშირებული ჩემი ვალდებულების რესტრუქტურირება?
- ვადაგადაცილების შემთხვევაში რა მოცულობის პირგასამტეხლო მექნება გადასახდელი?
- რა ინფორმაცია გადაეცემა საკრედიტო ბიუროს ერთიან მონაცემთა ბაზას ჩემი სესხის შესახებ?
- რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სესხის დაფარვა თავდების ანგარიშიდან?
- რა შემთხვევაში აქვს ფინანსურ ორგანიზაციას ჩემი სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული ქონების რეალიზაციის უფლება?
- აქვს თუ არა ფინანსურ ორგანიზაციას ხელშეკრულების რომელიმე პირობის ცალმხრივად შეცვლის უფლება? ასეთ შემთხვევაში რა გზით მოხდება ჩემი ინფორმირება?
- ვის და რა შემთხვევაში შეიძლება გადასცეს ფინანსურმა ინსტიტუტმა ჩემი პერსონალური და კონფიდენციალური მონაცემები?
- შესაძლებელია თუ არა ჩემი ბიზნესსესხის დაზღვევა? თუ კი, რა არჩევანი მაქვს სადაზღვევო პირობების კუთხით?
- რამდენად იქნება დაცული ჩემ მიერ წარმოდგენილი ბიზნესიდეის კონფიდენციალურობა?



სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება ბიზნესის წარმატებისა და კეთილდღეობის საწინდარია. ჩვენ გვჯერა, რომ ამ სახელმძღვანელოში მოცემული რჩევები, თქვენი მომსახურე ორგანიზაციის გონივრულ რჩევებთან ერთად, დაგეხმარებათ სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღებაში.



სასურვებლო გეულები



საჭირო სამართლებრივი აქტები:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – www.matsne.gov.ge/ka/document/view/31702
- საქართველოს კანონი მენარმეთა შესახებ – www.matsne.gov.ge/ka/document/view/28408#/
- საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ – www.matsne.gov.ge/ka/document/view/1561437
- ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების განევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი – www.nbg.gov.ge/cp/index.php?m=612
- საქართველოს საკანონმდებლო მაცნე – www.matsne.gov.ge

საქართველოს ეროვნული ბანკის რესურსები:

- საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდი – www.nbg.gov.ge
- საქართველოს ეროვნული ბანკის მომხმარებლის გვერდი – www.nbg.gov.ge/cp
- მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო: ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება – www.nbg.gov.ge/index.php?m=706&lng=geo
 - სესხის კალკულატორი
 - ფინანსური უწყისების შაბლონები: მოგება-ზარალის, საბალანსო და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისები
- ეროვნული ბანკისა და EFSE DF-ის ბროშურა მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები და მისი თანმდევი პრაქტიკული მოდელები – www.nbg.gov.ge/cp/uploads/efse/EFSE_broschure_georgia_web.pdf
- საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დანესებულებების ჩამონათვალი – <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=403>
- საქართველოში რეგისტრირებული არასაბანკო დანესებულებების ჩამონათვალი – <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=529>

სხვა მნიშვნელოვანი მისამართები:

- სააგენტო „ანარმოე საქართველოში“ – www.enterprise.gov.ge
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური – <http://insurance.gov.ge/>
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო – www.gita.gov.ge
- სახელმწიფო აუდიტის სამსახური – www.sao.ge
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო – www.procurement.gov.ge
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო – www.napr.gov.ge
- პროექტი „სტარტაპ საქართველო“ – www.startup.gov.ge
- შემოსავლების სამსახური – www.rs.ge

გენმერტეხითი ლექსიკონი



J

ავანსი – ნიეთის/მომსახურების ხელშეკრულებით ან გარიგებით განსაზღვრული მთლიანი საფასურის წინასწარ გადახდილი ნაწილი.

ავტომატური გადახდების მომსახურება – მომხმარებლის მიერ ბანკისთვის წინასწარ მიცემული დავალება, რომელიც გულისხმობს კონკრეტული თარიღისთვის ან პერიოდისთვის ბანკის მიერ დავალების ავტომატურად შესრულებას.

აკრედიტივი – მომსახურება, რომლის მიხედვითაც, საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია, თავისი კლიენტის მოთხოვნით, კონკრეტული, წინასწარ შეთანხმებული დოკუმენტის წარდგენის სანაცვლოდ, მესამე პირს გადაუხადოს თანხა.

ანგარიში მიმდინარე – საბანკო ანგარიში, რომელიც იხსნება უვადოდ და გამოიყენება სხვადასხვა ოპერაციისთვის, მათ შორის: თანხის შეტანა, გატანა, გადარიცხვა, ვალუტის კონვერტაცია. ანგარიში შესაძლებელია იყოს **ერთვალუტიანი**, რომელზეც ფულადი ოპერაციების შესრულება მხოლოდ ერთი ვალუტით არის შესაძლებელი და **მულტისავალუტო**, რომელზეც განთავსებულია რამდენიმე ვალუტის ფულადი სახსრები და სასურველი ვალუტით ანგარიშსწორების შესაძლებლობას იძლევა ვალუტის კონვერტაციის გარეშე.

ანგარიში IBAN ფორმატის – საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბანკო ანგარიში, რომელიც გამოიყენება ქვეყნის შიგნით და გარეთ თანხის გადარიცხვის დროს. IBAN ანგარიშების გამოყენებისას მცირდება ანგარიშის ნომრის შეცდომით მითითების ალბათობა და, ხშირ შემთხვევაში, გადარიცხული სახსრების მიმღების ანგარიშზე ასახვისთვის საჭირო დროც. საქართველოს IBAN ანგარიშის ფორმატი შედგება 22 სიმბოლოსგან.

ანგარიშის მომსახურების საკომისიო – ბანკში გახსნილი ანგარიშის მომსახურების საფასური.

ანგარიშფაქტურა (საგადასახადო) – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ფორმის მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელსაც მიმწოდებელი მხარე უწერს საქონლის

/მომსახურების მიმღებს და შეიცავს დეტალურ ინფორმაციას გარიგების შესახებ: გარიგების მხარეებს, მიწოდებული საქონლის/განეული მომსახურების აღწერას, ფასსა და მიწოდების დროს.

ანუიტეტი – სესხის დაფარვის ფორმა, რომელიც გულისხმობს **თანაბარი პერიოდულობით თანაბარი მოცულობის შენატანების** გადახდას, რომლებიც შედგება როგორც ძირითადი თანხისგან, ისე დარიცხული პროცენტისგან.

აქტივი – საწარმოს განკარგულებაში არსებული გარკვეული ღირებულების მქონე მატერიალური რესურსი (მაგ.: ფული, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, ინვენტარი) და/ან არამატერიალური რესურსი (მაგ.: პატენტი, ლიცენზია, პროგრამული უზრუნველყოფა), რომლის საფუძველზეც საწარმო მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას მოეწივს.

ბ

ბანკომატი – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ-ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც საგადახდო ბარათის მფლობელს დღის ნებისმიერ მონაკვეთში შეუძლია ანგარიშიდან ნაღდი ფულის გამოტანა (ზოგიერთი ბანკომატით – ფულის ანგარიშზე შეტანაც), ანგარიშზე არსებული ნაშთის შემოწმება, გადახდების შესრულება და სხვა.

ბიზნესმრჩეველი – სპეციალიზებული ორგანიზაცია/კერძო პირი, რომელიც მენარმეებს ბიზნესპროცესების მართვასა და არსებული რესურსის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებაში, ასევე, სამომავლო გეგმების დასახვასა და მათ განხორციელებაში კონსულტაციებს უწევს. ბიზნესმრჩეველის დახმარებით, საწარმოს შესაძლებლობა აქვს შეამციროს რისკები და გაზარდოს მომგებიანობა. ფინანსურ ორგანიზაციებს, რომლებიც ბიზნესების დაფინანსებაში სპეციალიზდებიან, როგორც წესი, საკუთარი ბიზნესმრჩეველები ჰყავთ, რომლებიც ბიზნესკლიენტებს შესაბამის მომსახურებას უწევენ.

ბიზნესგეგმა – დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ და, ასევე, ასახავს საწარმოს მომავალი განვითარების გეგმას.

გადახდისუნარიანობა – მსესხებელი პირის უნარი/შესაძლებლობა, თავისი შემოსავლის, ხარჯებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით, დროულად და ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, დააბრუნოს აღებული კრედიტი.

განაღდება – ანგარიშზე არსებული თანხის გამოტანა ბანკომატის ან ფინანსური ორგანიზაციის სერვისცენტრის მეშვეობით. შესაძლებელია არსებობდეს **განაღების ლიმიტი**, ანუ თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის განაღდებაც 24 საათის განმავლობაშია შესაძლებელი.

განაღების საკომისიო – გადასახადი, რომელიც ბანკომატის ან სერვისცენტრის საშუალებით თანხის გამოტანის დროს ჩამოიჭრება ანგარიშიდან. ზოგიერთ შემთხვევაში საკომისიო შესაძლებელია 0% იყოს.

განვადება – მომენტალური სესხი, რომლის საშუალებითაც, სასურველი პროდუქტის ან მომსახურების შექმნა განაცხადის გაკეთებისას, ხშირ შემთხვევაში, სავაჭრო/მომსახურების ობიექტშივე ხორციელდება, თანხის გადახდა კი ეტაპობრივად ხდება.

გარანტია საბანკო/სადაზღვევო – ვალდებულება, რომელსაც ბანკი/სადაზღვევო ორგანიზაცია იღებს გარიგებაში მონაწილე პირის წინაშე და რომლის თანახმადაც, გარიგების პირობების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, თავად ბანკი/სადაზღვევო კომპანია აანაზღაურებს საგარანტიო თანხას.

გირავნობა – ვალდებულების შესრულების გარანტი, რომლის დროსაც გარანტად წარმოდგენილია მსესხებლის მოძრავი და/ან არამატერიალური ქონება. ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის და/ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დამგირავებელს შეუძლია თავისი მოთხოვნა დაიკმაყოფილოს დამგირავებელი ნივთის რეალიზაციით (გაყიდვით) და/ან საკუთრებაში გადაცემით.

გრანტი – სუბსიდია; კონკრეტული მიზნობრივობით, ფულადი ან ნატურალური ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემული სახსრები.

დაზღვევა – ფინანსური ინსტრუმენტი, რომლის დახმარებით შესაძლებელია პოტენციური რისკების რეალიზების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ზარალის შემცირება ან სრულიად თავიდან არიდება. დაზღვევით სარგებლობენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

დებიტორული დავალიანება – დავალიანება, რომელიც ფიზიკურ/იურიდიულ პირს სხვა ფიზიკურ/იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას წარმოეშობა, მაგალითად: პროდუქციის მიწოდება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების განწევა, მომწოდებლებისათვის გადახდილი ავანსები და სხვ. ეს დავალიანება, თავისი შინაარსით, წარმოადგენს კომპანიის აქტივს.

დეპოზიტი (ანაბარი) – სარგებლის მიღების მიზნით გარკვეული დროით ბანკში განთავსებული თანხა. დეპოზიტი დანაზოგების გაკეთებისა და დარიცხული პროცენტის სახით სარგებლის მიღების საშუალებას იძლევა. ბანკი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომისას ან უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შესაბამისად, დააბრუნოს დეპოზიტზე არსებული თანხა, შესაბამის საპროცენტო სარგებელთან ერთად. არსებობს რამდენიმე ტიპის დეპოზიტი, მათ შორის:

შემნახველი (მოთხოვნამდე) დეპოზიტი – უვადო დეპოზიტი, რომელზეც თანხის დამატება და გატანა შეუზღუდავად არის შესაძლებელი. შემნახველ დეპოზიტებზე, ჩვეულებრივ, უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებია შემოთავაზებული, ვიდრე სხვა ტიპის დეპოზიტებზე.

ვადიანი დეპოზიტი – კონკრეტული ვადითა და კონკრეტული თანხით გახსნილი დეპოზიტი. ვადიან დეპოზიტზე უფრო მაღალი საპროცენტო განაკვეთებია შემოთავაზებული, ვიდრე სხვა ტიპის დეპოზიტებზე, თუმცა ვადიანი დეპოზიტის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მასზე თანხის დამატება არ არის შესაძლებელი. ამასთან, რაც უფრო ხანგრძლივია დეპოზიტის ვადა, მით უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში მომხმარებელს ხელშეკრულებით განსაზღვრულ საპროცენტო განაკვეთზე დაბალი სარგებელი ერიცხება, ან საერთოდ არ ერიცხება სარგებელი.

ზრდადი დეპოზიტი – ვადიანი ტიპის დეპოზიტი, რომელიც კონკრეტული ვადით იხსნება. თუმცა, ვადიანი დეპოზიტისაგან განსხვავებით, ზრდადი დეპოზიტზე მომხმარებელს საშუალება აქვს ძირითად თანხას გარკვეული პერიოდულობით დაამატოს თანხა. ბანკები ინდივიდუალურად განსაზღვრავენ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მომხმარებლის მიერ დასამატებელი თანხის მინიმალურ ოდენობასა და შენატანების პერიოდულობას.

დისტანციური საბანკო მომსახურება – საბანკო მომსახურება, რომლითაც სარგებლობა ბანკში მიუსვლელად არის შესაძლებელი, მაგ.: ბარათით სარგებლობა, ონლაინგადახდების განხორციელება, ინტერნეტბანკით, მობილბანკით, SMS ბანკით სარგებლობა და ა. შ.

დიჯიპასი – მოწყობილობა ან აპლიკაცია, რომელიც გამოიყენება ერთჯერადი კოდების გენერირებისათვის (მისაღებად) ინტერნეტბანკსა და სხვა დისტანციურ არხებში ელექტრონული ოპერაციების განხორციელების მიზნით. ეს მოწყობილობა/აპლიკაცია გამოიყენება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიერ. იურიდიული პირის შემთხვევაში, დიჯიპასი გადაეცემა(თ) კომპანიის უფლებამოსილ პირ(ებ)ს. დიჯიპასი ორდონიანი ავთენტიფიკაციის საშუალებაა; ყოველ დავალებაზე ის ერთჯერად, უნიკალურ კოდს გამოსახავს და ოპერაციის შესრულება მხოლოდ ამ კოდის მითითების შემდეგ არის შესაძლებელი.

დღგ-ს (დამატებული ღირებულების გადასახადი) გადამხდელი – პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული შემოსავალი 100 000 ლარს აღემატება. აღსანიშნავია, რომ პირი, რომელიც საქართველოში აქციზურ საქონელს აწარმოებს, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის საგადასახადო ორგანოს მიმართოს აქციზური საქონლის მიწოდებამდე. დღგ-ს შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის გთხოვთ ეწვიოთ სსიპ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდს – www.rs.ge.

ვალდებულება – საწარმოს ვალდებულება გარე პირების (კრედიტორების, კონტრაქტორებისა და სხვათა) წინაშე, რომლის შესრულებაც საწარმოდან რესურსის (უმეტესად, ფინანსური რესურსის) გასვლას გულისხმობს.

ვალუტის კონვერტაცია – ერთი ვალუტის გადაცვლა მეორე ვალუტაში.

ვალუტის გაცვლითი კურსი – ერთი ქვეყნის ვალუტის ღირებულება გამოსახული მეორე ქვეყნის ვალუტის ერთეულებში. საქართველოში მოქმედებს *მცურავი გაცვლითი კურსის* რეჟიმი, რაც ნიშნავს, რომ ვალუტის კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. ბანკთაშორის ბაზარზე დადებულ გარიგებათა გათვალისწინებით გამოითვლება სავალუტო კურსი, რომელსაც ეროვნული ბანკი შემდგომი დღისთვის **ოფიციალურ** გაცვლით კურსად აცხადებს. ოფიციალური კურსი შესაძლოა განსხვავდებოდეს სავალუტო ბაზარზე არსებული **კომერციული** კურსისგან, რომელსაც კომერციული ბანკები, სხვა ფინანსური ინსტიტუტები ან ვალუტის გადამცვლელი პუნქტები აცხადებენ და რომელსაც განსაზღვრავს ვალუტაზე იმ დღეს არსებული მოთხოვნა-მიწოდება. ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები შეგიძლიათ იხილოთ ეროვნული ბანკის ვებგვერდზე www.nbg.gov.ge. აღსანიშნავია, რომ არსებობს ვალუტის შესყიდვისა და გაყიდვის კურსები და გაყიდვის კურსი ყოველთვის უფრო მაღალია, ვიდრე შესყიდვის კურსი.

ვერიფიკაცია – სხვადასხვა ტიპის მასალის (მაგ.: საბუთების, დოკუმენტების) და საგადახდო ბარათის მფლობელის პერსონალური მონაცემების ნამდვილობის შემოწმება/დადგენა. ასევე, იდენტიფიკაციის დადგენის მიზნით ორიგინალისა და მისი ასლის შედარება.

ზ

ზედნადები – ბულატრული დოკუმენტი, რომლის საშუალებითაც ხდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა მიღება და გაცემა. ზედნადები აუცილებლად თან უნდა ერთოდეს საქონლის სატრანსპორტო გადაზიდვას და მასში მითითებული უნდა იყოს სრულყოფილი ინფორმაცია გადაზიდვის შესახებ.

თ

თავდები – პირი, რომელიც მსესხებლის მხრიდან სესხის არგადახდის შემთხვევაში, სესხის დაფარვაზე იღებს ვალდებულებას. თუ მსესხებელი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, კერძოდ, გადააცილებს გადახდის თარიღს, ბანკი უფლებამოსილია ვადამოსული ვალდებულების (ანუ სესხის ნაწილის, რომელიც იმ კონკრეტული თარიღისთვის იყო დასაფარი) გადახდა დააკისროს თავდებს.

თვითღირებულება – პროდუქციის/მომსახურების ფასი, ყველა იმ ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც მის შესაქმნელად ან გასაწევად არის საჭირო.

ი

იდენტიფიკაცია – პირის შესახებ ისეთი ინფორმაციის მოპოვება, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იძლევა პირის მოკვლევისა და მისი სხვა პირებისგან გამორჩევის საშუალებას.

ინვესტიცია – ფულადი სახსრების, კაპიტალის ან სხვა სახის ფასეულობის დაბანდება სარგებლის მიღების მიზნით.

ინვესტორი – პირი, რომელიც ახორციელებს ინვესტიციას – ამა თუ იმ წამოწყებაში აბანდება საკუთარ კაპიტალს, სახსრებს ან სხვა ფასეულობას მოგების მიღების მიზნით.

ინვოისი – ფინანსური დოკუმენტი, რომელსაც გამყიდველი წარუდგენს მყიდველს. მასში მითითებულია შესაძენი საქონლის/მომსახურების ჩამონათვალი, რაოდენობა, გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები და ა. შ., რის საფუძველზეც ხდება გადახდა.

ინტერნეტბანკი – დისტანციური მომსახურება, რომლის საშუალებითაც ბანკში მიუსვლელოდ, ინტერნეტის მეშვეობით, შესაძლებელია სასურველი ოპერაციის შესრულება – ანგარიშებზე არსებული ბალანსის, ხელმისაწვდომი და ბლოკირებული თანხების ნახვა, ამონაწერის მომზადება, გადარიცხვა საკუთარ, სხვა პირის ან კომპანიის ანგარიშზე და ბიუჯეტში, მობილურის ბალანსის შევსება, კომუნალური გადახდების განხორციელება, დეპოზიტებისა და სესხების გახსნა/აღება და მართვა, ვალუტის კურსების ნახვა და ვალუტის კონვერტაცია და ა. შ.

იპოთეკა – მოვალის ან მესამე პირის უძრავი ქონების გამოყენება ფულადი ან/და არაფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. კრედიტორს, მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ენიჭება ამ უძრავი ქონების განკარგვის უფლება. თუ ქონება დატვირთულია იპოთეკით, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულება უნდა დამონდეს სანოტარო წესით (ეს წესი არ ვრცელდება კომერციულ ბანკებზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და არასაბანკო დაწესებულებებზე).

კ

კაპიტალი – ბიზნესის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოზიდული და დაგროვილი რესურსის ერთობლიობა.

კაპიტალური ხარჯები – ხარჯები, რომლებიც თან ახლავს ბიზნესის წარმოებას, და რომლებიც უკავშირდება ბიზნესის გრძელვადიანი აქტივების შექმნას/განახლებას. ეს შეიძლება იყოს უძრავი ქონების, მიწისა და ავტომობილის შესაძენად, რემონტის გასაკეთებლად გაწეული ხარჯები და სხვ.

კრედიტის (სესხის) ათვისება – სესხის თანხის გამოყენება.

კრედიტის ძირითადი თანხა – მსესხებლის მიერ ფინანსური ორგანიზაციისგან სესხის სახით მიღებული საწყისი, ძირითადი თანხა, რომელიც მიეთითება საკრედიტო ხელშეკრულებაში და რომელზეც ხდება პროცენტის დარიცხვა.

კრედიტორული დავალიანება – ფიზიკური ან იურიდიული პირის დავალიანება, რომელიც მომწოდებლის მიმართ წარმოიშობა მისი მხრიდან მომსახურების და/ან საქონლის მიღების შედეგად.

კომერციული ბანკი – ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც იღებს დეპოზიტებს, გასცემს სესხებს და ახორციელებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობას. ბანკი ემსახურება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს და, სესხებისა და დეპოზიტების გარდა, მათ სხვა მომსახურებებსაც სთავაზობს: პირადი/საწარმოს ფინანსების მართვა, ფულადი გზავნილების გაგზავნა-მიღება, ვალუტის კონვერტაცია, უნაღდო ანგარიშსწორების განხორციელება და სხვ.

კონფიდენციალურობა – ეთიკური პრინციპი ან კანონით, ან მხარეთა შორის ხელშეკრულებით დადგენილი პირობა, რომელიც გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული სიტუაცია თუ ინფორმაცია არ გახდება საჯარო და იქნება ხელმისაწვდომი მხოლოდ იმ პირ(ებ)ისთვის, რომლ(ებ)ისთვისაც ის არის განკუთვნილი, გარდა კანონით გათვალისწინებული ინფორმაციის სავალდებულოდ გაცემის შემთხვევებისა.

ლ

ლიზინგი – ქონების სარგებლობაში გადაცემა ხელშეკრულებით, დათქმული ვადით, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე.

ლიკვიდაცია – რაიმეს განადგურება, დახურვა, შეწყვეტა, ბოლომდე ამოყიდვა.

ლიკვიდობა – აქტივის ნაღდ ფულად გადაქცევის უნარი/შესაძლებლობა ფასდათმობის, ანუ აქტივის ფასის შემცირების გარეშე. რაც უფრო სწრაფად და მარტივად გაიყიდება აქტივი, მით უფრო მაღალია მისი ლიკვიდობის მაჩვენებელი. შესაბამისად, არსებობს **მაღალლიკვიდური და დაბალლიკვიდური** აქტივები.

ლომბარდი – ფინანსური დაწესებულება, რომელიც, უძრავი ან/და მოძრავი ქონების დაგირავების სანაცვლოდ, გასცემს სესხებს. როგორც წესი, ლომბარდის მიერ შემოთავაზებული საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ მაღალია.

მ

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) – ფინანსური ორგანიზაცია, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს სხვადასხვა ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს: სესხის გაცემას, გზავნილების მიღება-გაგზავნას, ვალუტის კონვერტაციას და სხვ. აღსანიშნავია, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს ეკრძალებათ დეპოზიტების მიღება და 100 000 ლარზე მეტი მოცულობის სესხების გაცემა.

მინდობილობა – წერილობითი დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირდება, რომ ერთი მხარე უფლებას ანიჭებს მეორე მხარეს, რათა მან მინდობილობაში მითითებული უფლებამოსილების ფარგლებში დადოს გარიგება და შეასრულოს სხვადასხვა მოქმედება მიმდობი პირის სახელით.

მიღება-ჩაბარების აქტი – საბუთი, რომელშიც ასახულია პროდუქტის ან მომსახურების მეორე პირისთვის გადაცემის ფაქტი და ანგარიშსწორების პროცესი. დოკუმენტში მითითებულია ფასი, ორივე მხარის მონაცემები, ტრანზაქციის შესრულების თარიღი და ა. შ., რაც დადასტურებული უნდა იყოს მხარეების უფლებამოსილი პირ(ებ)ის ხელმოწერით.

მოგება-ზარალის უწყისი – ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც ასახულია შემოსავლები და ხარჯები და მათ საფუძველზე დათვლილია მოგება ან ზარალი, რომელიც კომპანიამ გარკვეულ პერიოდში მიიღო.

მოგების დეკლარაცია – მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და საგადასახადო ორგანოებთან ანგარიშგების მიზნით კანონით დადგენილი ფორმა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტისა და მოგების გადასახადის ოდენობის შესახებ.

მ

მოვერდრაფტი – მოკლევადიანი სესხის ერთგვარი სახეობა – საფინანსო ინსტიტუტის მიერ კლიენტის სახელფასო ანგარიშზე დაშვებული საკრედიტო ლიმიტი. **ბიზნესოვერდრაფტი** – საფინანსო ინსტიტუტის მიერ მენარმეებისთვის განკუთვნილი მოკლევადიანი სესხის სახეობა, რომელიც გათვალისწინებულია მოკლევადიანი ვალდებულებების გასასტუმრებლად, მაგ.: ხელფასი, იჯარა და სხვ. ბიზნესოვერდრაფტი დაიშვება მენარმის/საწარმოს მიმდინარე ანგარიშზე.

პ

პატენტი – საბუთი, რომელსაც სახელმწიფო გაცემს გამომგონებლის სახელზე, და რომლის საფუძველზეც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე. პატენტი შეიძლება გაიცეს როგორც პროდუქტზე, ისე მეთოდზე (ტექნოლოგიურ პროცესზე). მფლობელს შეუძლია აკრძალოს თავისი გამოგონების უნებართვო გამოყენება.

პინ-კოდი – რამდენიმე ციფრისგან შემდგარი საიდენტიფიკაციო კოდი, რომელიც საჭიროა ბანკომატისა და პოს-ტერმინალის საშუალებით ოპერაციების შესასრულებლად. ბარათის მფლობელს საგადახდო ბარათის აღებისას პინ-კოდი გადაეცემა მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან დალუქულ კონვერტში ჩადებული.

პირგასამტეხლო – გამსესხებელსა და მსესხებელს შორის წინასწარ შეთანხმებული სანქცია/ჯარიმა, უმეტესად გამოხატული დამატებით გადასახდელი თანხით ან გაზრდილი საპრო-

ცენტო განაკვეთის ოდენობით, რომელიც მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის (მაგ.: სესხის დასაფარად საჭირო შენატანის დაგვიანებით განხორციელებისთვის).

პრობლემური აქტივების მართვის კომპანია

– სპეციალიზებული ორგანიზაცია, რომელსაც ფინანსური ორგანიზაცია სამართავად გადასცემს ვადაგადაცილებულ სესხებს, რომლებსაც მომხმარებელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვანი დაგვიანებებით, არასრულად ან საერთოდ ვერ იხდის. კომპანიის ფუნქციებში შედის ვადაგადაცილებული სესხების მქონე მომხმარებლებისთვის სესხის დაფარვის მოთხოვნა, რაც გულისხმობს მომხმარებელთან დაკავშირებასა და სესხის გადახდის პირობებზე მოლაპარაკებას.

პროცენტი მარტივი (პროცენტის დარიცხვის მარტივი მეთოდი)

– პროცენტის დარიცხვის მეთოდი **მარტივია**, თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება ერთჯერადად, ვადის გასვლისას. **მარტივია** ასევე დარიცხვის სქემა, როდესაც პროცენტის დარიცხვა ხდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რამდენჯერმე, მაგრამ პროცენტი გამოანგარიშდება მხოლოდ ძირ თანხაზე.

პროცენტი რთული (პროცენტის დარიცხვის რთული მეთოდი)

– პროცენტის დარიცხვის მეთოდი **რთულია**, თუ წლიური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვა ხდება პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე და ამასთან, ყოველი შემდეგი დარიცხვა ხდება ძირ თანხასა და უკვე დარიცხული პროცენტის ჯამზე.

რ

რეინვესტირება – პირველი ინვესტიციის შედეგად მიღებული შემოსავლების/მოგების იმავე პროექტში (ბიზნესში) ხელმეორედ დაბანდება.

რენტაბელობა – წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს, თუ რა შემოსავალი ან მოგება აქვს ამა თუ იმ კომპანიას ან პროექტს.

რეორგანიზაცია – ბიზნესის სტრუქტურული ცვლილება: გარდაქმნა (სამართლებრივი ფორმის ცვლილება), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება), გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა).

რესტრუქტურისაცია – არსებული სესხის მომსახურების პირობების ცვლილება, რომლის მიზანსაც, ძირითადად, მომხმარებლისთვის სესხის მომსახურების გამარტივება წარმოადგენს. რესტრუქტურისაციის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმაა კლიენტის ყველა ვალდებულების გაერთიანება და მისი უფრო გრძელ ვადაზე გადაწინაღობა.

რეფინანსირება – მომხმარებლის მიერ საკუთარი სესხის მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვა იმავე ან სხვა გამსესხებლისგან მიღებული ახალი სესხით.

ს

საარბიტრაჟო სასამართლო – მხარეთა მიერ შერჩეული დავების განმხილველი ორგანო. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პირებს (იგულისხმება როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირები) შორის სამოქალაქო დავა, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია განსახილველად გადაეცეს მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ კერძო არბიტრაჟს. საარბიტრაჟო განხილვები დახურულია და მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება იყოს კონფიდენციალური. არბიტრაჟი მოქნილი პროცესია, რომელიც შეიძლება იყოს უფრო სწრაფი და დაბალხარჯიანი, ვიდრე სამართალწარმოება სასამართლოში, იმის მიხედვით, თუ რა პროცედურებზე შეთანხმდნენ მხარეები.

სააღსრულებო წარმოება – კანონმდებლობით განსაზღვრული პროცესი, რომლის დროსაც შესაბამისი ორგანო მიღებულ გადაწყვეტილებას აღასრულებს კრედიტორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სააღსრულებო წარმოების ნაწილი შეიძლება იყოს, მაგალითად, მოვალის, თავდების ან უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრის ქონების დაყადაღება, რეალიზაცია აუქციონის მეშვეობით და სხვ.

საბალანსო უწყისი – ფინანსური დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულ მომენტში საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას ასახავს. საბალანსო უწყისი მოიცავს ინფორმაციას საწარმოს აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ.

საბანკო რეკვიზიტები – საბანკო მონაცემები, რომლებიც მომხმარებელს სჭირდება საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად: ბანკის დასახელება და კოდი, ანგარიშის ნომერი და ა. შ.

საბრუნავი საშუალებები – საწარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი და არაფულადი რესურსი, რომლის გამოყენებაც საწარმოს შეუძლია ერთ წელზე ნაკლები ვადით (მაგ.: ფული, მარაგები, დებიტორული დავალიანება და სხვ.).

საგადახდო (პლასტიკური) ბარათი – საგადახდო ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება საქონლის/მომსახურების საფასურის გადასახდელად, ნაღდი ფულის მისაღებად, ფულადი გზავნილის განსახორციელებლად და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ოპერაციების შესასრულებლად. საგადახდო ბარათი შეიძლება იყოს სადებეტო, საკრედიტო და წინასწარი გადახდის. როგორც წესი, საგადახდო ბარათით სარგებლობისას მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო და ბარათის ყოველწლიური საკომისიო.

სადებეტო ბარათი – ბარათი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საბარათე/მიმდინარე ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვა.

საკრედიტო ბარათი – ბარათი, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს შეუძლია საკრედიტო დაწესებულების მიერ მისთვის გამოყოფილი (ანუ ნასესხები) თანხის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში განკარგვა/გახარჯვა.

საბანკო ამონაწერი – ბანკის მიერ გაცემული წერილობითი/ელექტრონული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია კონკრეტულ პერიოდში კლიენტის მიერ შესაბამის საბანკო ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციების შესახებ.

საკომისიო – სხვადასხვა პროდუქტი/მომსახურებით სარგებლობისათვის მომხმარებლისთვის დაწესებული გადასახადი, რომლის ოდენობა და გადახდის წესიც განისაზღვრება ხელშეკრულებით.

საკრედიტო ისტორია – საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს მონაცემთა ბაზაში თავმოყრილი ინფორმაცია მსესხებლის (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირის) მიმდინარე და დაფარული ვალდებულებების შესახებ. როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მათი ვალდებულებების შესახებ საკრედიტო-საინფორმაციო ბიუროში დაცული ინფორმაცია.

საკრედიტო ლიმიტი – კრედიტის წინასწარ შეთანხმებული მაქსიმალური ან მინიმალური ზღვარი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია თანხის ათვისება/გახარჯვა.

საკრედიტო ხაზი – საკრედიტო პროდუქტი, რომლის საფუძველზეც მსესხებელს ეძლევა შესაძლებლობა, გარკვეული ლიმიტის ფარგლებში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადითა და პირობებით, პერიოდულად გამოიყენოს კრედიტის თანხა.

საკრედიტო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა საკრედიტო ურთიერთობას და რომელშიც დეტალურადაა განწერილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები.

სამომხმარებლო სესხი – საკრედიტო პროდუქტი (სესხის ტიპი), რომელსაც ფინანსური დაწესებულებები არაკომერციული მიზნებისთვის გასცემენ. სამომხმარებლო სესხი შეიძლება იყოს როგორც უზრუნველყოფილი, ისე არაუზრუნველყოფილი. მისი აღება შესაძლებელია როგორც დისტანციურად, ისე ფინანსური ორგანიზაციის სერვისცენტრში.

სარგებელი – შეთავაზება, რომელიც მომხმარებლისთვის იქნება სარგებლის ან უპირატესობის მომტანი. სარგებელი შეიძლება იყოს ფასდაკლება, სტატუსი, საჩუქარი და სხვ.

საპროცენტო სარგებელი – დეპოზიტის შემთხვევაში: დეპოზიტზე დარიცხული სარგებელი; **სესხის შემთხვევაში**: კრედიტით სარგებ-

ლობის სანაცვლოდ მსესხებლის მიერ სესხის გამცემი ორგანიზაციისთვის გადახდილი თანხა. პროცენტის სახით გამოსახულ სარგებელს **საპროცენტო განაკვეთი** ეწოდება.

საპროცენტო განაკვეთი:

ცვლადი საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც „მიზმულია“ გარკვეულ საჯარო ინდექსზე (ლარის სესხის შემთხვევაში – ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე; დოლარის სესხის შემთხვევაში – ლონდონის ბანკთაშორის შეთავაზების ინდექსზე (Libor) და ა. შ.) და სესხის ვადის განმავლობაში, ამ საჯარო ინდექსის ცვლილების პარალელურად, შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება გამოიწვევს სესხის შენატანების გაზრდას ან შემცირებას.

ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უცვლელია სესხის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი – სესხის ან დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში და ასახავს უშუალოდ სესხის/დეპოზიტის თანხაზე დარიცხულ პროცენტს. ასეთი საპროცენტო განაკვეთი არ მოიცავს პროდუქტის/მომსახურების მიღებასთან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს (მაგ.: სესხის დამტკიცებისა და განტანის საკომისიო, დაზღვევის საკომისიო და სხვ.).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი – **სესხის შემთხვევაში**: საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაშიც გათვალისწინებულია ყველა ხარჯი და ამ ხარჯების განევის პერიოდი. ასეთი ხარჯები შეიძლება იყოს სესხის დამტკიცების საკომისიო, დაზღვევის საკომისიო და ა. შ. **დეპოზიტის შემთხვევაში**: საპროცენტო განაკვეთი, რომლის გამოთვლისას გათვალისწინებულია ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მიღებული/მისაღები სარგებელი და ამ ხარჯების განევისა და სარგებლის მიღების პერიოდი.

საქართველოს ეროვნული ბანკი – ქვეყნის ცენტრალური ბანკი, რომლის მთავარ მიზან-

საც ქვეყანაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ეროვნული ბანკი ასევე ზედამხედველობს საფინანსო სექტორს, რაც მიზნად ისახავს ამ სექტორის სტაბილურობის, გამჭვირვალობის, გამართული და უსაფრთხო ფუნქციონირებისა და სექტორის მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. დამატებით, ეროვნული ბანკის ფუნქციებში შედის ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მართვა, ქართული ბანკნოტებისა და მონეტების მიმოქცევაში ჩაშვება, უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის მიზნით ღონისძიებების ჩატარება და ა. შ.

საშელავათო პერიოდი – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მსესხებელს არ უნევს სესხის ძირითადი თანხის გადახდა. ზოგ შემთხვევაში, საშელავათო პერიოდის განმავლობაში მსესხებელს შესაძლოა პროცენტის გადახდაც არ უნევდეს. საკრედიტო ბარათით სარგებლობისას საშელავათო პერიოდი წარმოადგენს იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც, დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, ბარათიდან ათვისებულ, ანუ გახარჯულ თანხას არ ერიცხება წლიური პროცენტი.

სახელფასო პროგრამა – ბანკის მიერ ორგანიზაციებისთვის შეთავაზებული პროგრამა, რომლის ფარგლებშიც, პროგრამაში ჩართული ორგანიზაციის თანამშრომლები იღებენ განსაკუთრებულ პირობებს/შელავათებს ბანკის პროდუქტებსა და მომსახურებებზე (მაგ.: თანხის განაღდებაზე, სესხებზე, დეპოზიტებზე და ა. შ.), ხოლო თვითონ ორგანიზაცია მარტივად, უსაფრთხოდ და სწრაფად ახორციელებს თანამშრომლებისთვის (მათ შორის, მივლინებაში მყოფთათვის) ხელფასის ჩარიცხვას.

სესხი – თანხა, რომელსაც მსესხებელი გამსესხებლისგან ვალის სახით იღებს წინასწარ შეთანხმებული პირობებით, რომლებიც მოიცავს თანხის დაბრუნების ვადებს, საპროცენტო განაკვეთებსა და სხვა პარამეტრებს.

სესხი არაუზრუნველყოფილი – სესხი, რომელიც გაცემულია უზრუნველყოფის (გირავნობა, იპოთეკა, თავდებობა, საბანკო გარანტია ან სხვ.) გარეშე.

სესხი უზრუნველყოფილი – სესხი, რომლის აღებაც ხორციელდება უძრავ-მოძრავი ქონების, დეპოზიტის ან თავდების უზრუნველყოფით.

სესხის გაცემის საკომისიო – საფინანსო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სესხის გასაცემად განეული ფინანსური ხარჯი.

სესხის დამტკიცება – სესხის გაცემასთან დაკავშირებით საფინანსო დაწესებულების თანხმობა/დადებითი გადაწყვეტილება.

სესხის მონიტორინგი – სესხის გაცემის შემდგომ სესხის გამცემი ორგანიზაციის მხრიდან პერიოდული დაკვირვებისა და შემონგების სისტემატური პროცესი, რომლის მიზანია სესხის მიზნობრივად გამოყენებისა და მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის შემონგება.

სუბსიდია – დაფინანსება, ფულადი დახმარების განევა. სახელმწიფოს მიერ მატერიალური ან ნატურალური ფორმით უსასყიდლოდ განეული დახმარება.

ტ

ტრანზაქცია – სხვადასხვა ფინანსური ოპერაციის: თანხის შეტანის, გადარიცხვის, განაღდებას და ა. შ. – შესრულება.

ტრანში – მთლიანი სესხის ნაწილი, რომელიც საფინანსო ინსტიტუტის მიერ არის გასაცემი, ან მომხმარებლის მიერ არის გადასახდელი.

ფ

ფაქსიმილია – ხელმოწერა ბეჭდის (კლიშე) გამოყენებით, რომელზეც დატანილია ხელმოწერის ზუსტი ასლი. ფაქსიმილია ასევე წარმოადგენს ხელმოწერის ნიმუშს.

ფინანსური ანალიზი – საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, რისკებისა და საქმიანობის შედეგების ობიექტურად შეფასება. ფინანსური

ანალიზის შედეგად შესაძლებელია სანარმოს შემდგომი სტაბილურობის ან, პირიქით, მოსალოდნელი რისკის შესახებ პროგნოზის გაკეთება. ფინანსური ორგანიზაციები, უმეტეს შემთხვევაში, ბიზნესის დაფინანსებასთან დაკავშირებით დადებით ან უარყოფით გადაწყვეტილებას მენარმის ფინანსური ანალიზის საფუძველზე იღებენ.

ფინანსური კოეფიციენტები:

სესხის მომსახურების კოეფიციენტი – ფინანსური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესის გადახდისუნარიანობას, კერძოდ, აქვს თუ არა ბიზნესს საკმარისი წმინდა შემოსავალი საკრედიტო ვალდებულების დასაფარად. ეს მაჩვენებელი გამოითვლება საპროცენტო ხარჯამდე და მოგების გადასახადამდე მსესხებლის ყოველთვიური მოგების შეფარდებით სესხის ყოველთვიურ გადასახადთან.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი – ფინანსური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს საკმარისია თუ არა ბიზნესის მაღალლიკვიდური აქტივები იმისთვის, რომ, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს მათი გამოყენება მოკლევადიანი (მიმდინარე) ვალდებულებების დასაფარად.

ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი – ფინანსური მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა მოცულობის ვალდებულების დამატების საშუალება აქვს ბიზნესს ისე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ პრობლემას საკუთრი კაპიტალით გაუმკლავდეს. ამ კოეფიციენტის საყოველთაო სტანდარტი არ არსებობს და ის დამოკიდებულია ბიზნესის სექტორზე, თუმცა ძირითად შემთხვევებში, რეკომენდებულია, რომ **ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი არ იყოს 30%-ზე ნაკლები**.

ფიქსირებული ხარჯები – სანარმოს ხარჯები, რომლებიც არ იცვლება დროის გარკვეულ მონაკვეთში, წარმოების მოცულობის/მომსახურების განვითარების რაოდენობის მიუხედავად, მაგ.: იჯარა, დაზღვევა, ადმინისტრაციული ხელფასი და სხვ.

ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი – ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც ასახულია

დროის კონკრეტულ მონაკვეთში კომპანიაში შემომავალი და კომპანიიდან გამავალი ფულადი სახსრები.

ქ

ქონება მოძრავი – ქონება, რომელიც არ არის უძრავი და შესაძლებელია მისი გადაადგილება, მაგ.: ავტომობილი, მანქანა-დანადგარები და ა. შ.

ქონება უძრავი – უძრავ ქონებას მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი, არსებული წიაღისეული და მასზე აღმოცენებული მცენარეებით, ასევე შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე, მაგ.: საცხოვრებელი სახლი, სანარმოო ნაგებობა.

ყ

ყადალა – ქონების მესაკუთრისთვის საკუთრებით სარგებლობისა და განკარგვის აკრძალვა ან შეზღუდვა. ყადალა შეიძლება დაედოს უძრავ-მოძრავ ქონებას, საბანკო ანგარიშებს, ფასიან ქალაქებს და ა. შ. ყადალის დადება შეუძლია სასამართლოს/არბიტრაჟს ან სხვა უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს (მაგ.: სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ შემოსავლების სამსახური და სხვ.).

ც

ცვეთა (ამორტიზაცია) – დროთა განმავლობაში აქტივის თანდათანობითი გაცვეთა, რაც იწვევს აქტივის ღირებულების შემცირებას. ბუღალტრული მიზნებისთვის, ცვეთა წარმოადგენს აქტივის ღირებულების დროში განაწილებას საბალანსო უწყისში მისი ხარჯად აღიარების მიზნით.

ცვლადი ხარჯი – სანარმოს ხარჯები, რომლებიც იცვლება დროის გარკვეულ მონაკვეთში

წარმოების მოცულობის/მომსახურების განვების რაოდენობის მიხედვით, მაგ.: ნედლეულის ხარჯი, ტრანსპორტირების/დისტრიბუციის ხარჯი და სხვ.

ძ

ძირითადი საშუალებები – საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური აქტივები (მაგ.: შენობა-ნაგებობები, მიწა, დანადგარები და სხვ.), რომელთაც საწარმო იყენებს წარმოებაში, მომსახურებაში, იჯარით გასაცემად და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ეს აქტივები, ძირითადად, ერთ წელზე მეტი ვადით გამოიყენება.

წ

წინსწრებით დაფარვის საკომისიო – თანხა, რომლის გადახდაც, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ეკისრება მომხმარებელს იმ შემთხვევაში, თუ ის სესხის დარჩენილ ძირითად თანხას სრულად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თარიღის დადგომამდე დაფარავს.

ხ

ხანდაზმულობა – კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა, რომლის გასვლის შემდგომაც პირს სხვა პირის მიმართ ეკარგება მოთხოვნის უფლების იძულებითი აღსრულების შესაძლებლობა. ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. თუ მოვალემ, ხანდაზმულობის მიუხედავად, მაინც შეასრულა თავისი ვალდებულება, მაშინ მას არ შეუძლია ხანდაზმულობაზე მითითებით უკან გამოითხოვოს შესრულება.

ხელშეკრულება – ორ ან მეტ მხარეს შორის წერილობით გაფორმებული იურიდიული ძალის მქონე შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს შეთანხმების პირობებს, მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

ხელშეკრულების თავსართი – ხელშეკრულების ნაწილი (1-ლი გვერდი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების შესახებ: ნომინალური და ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, ფინანსური ხარჯები და სხვა. თავსართში ასევე მითითებულია, თუ სად არის შესაძლებელი პრეტენზიის წარდგენა, უკმაყოფილების შემთხვევაში.



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia



გამომცემლობა:

სახელმძღვანელო დაბეჭდილია „ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ (EFSE) განვითარების პროგრამის მხარდაჭერით.

უარის თქმა პასუხისმგებლობაზე:

„ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამა (EFSE DF) პასუხს არ აგებს წინამდებარე დოკუმენტის შინაარსზე.



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

